# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 7 თებერვალი 2003 №19 (1790) | ფასი 50 თეთრი


# ასაუერმა კობიაშვილი სამი კაცით დააზღვია



ტიმი სიმონსი



ლევან კობიაშვილი

გუშინ გერმანულ პრესაში პირველად გაჩნდა ცნობა ლევან კობიაშვილით „შალკეს" დაინტერესებაზე. ლაპარაკია „კიკერში" გამოქვეყნებულ მცირე ინფორმაციაზე, რომელშიც ნათქვამია — გელზენკირხენის „შალკეს" სურს, მომავალი სეზონიდან გადაიბიროს „ფრაიბურგის" ქართველი კაპიტანი ლევან კობიაშვილიო და ავტორი, იან ბეერი იქვე დასძენს, მის გარდა გელზენკირხენული გუნდის გენერალური მენეჯერი რუდი ასაუერი ბელგიური „ბრიუგეს" მარცხენაფლანგელ ტიმი სიმონსის ყიდვასაც ეშურებაო.

„შალკეს" ოფიციალური ვებ-გვერდი კი იმასაც იტყობინება, რომ კობიაშვილისა და სიმონსის გარდა ასაუერს თვალი „ვატენშაიდის" 20 წლის ტყუპი ძმების, ჰალილ და ჰამიტ ალტინტოპებისთვისაც დაუდგამს.

აქვე შევნიშნოთ, რომ კობიაშვილიც, სიმონსიც და ჰალილ-ჰამიტიც ერთი ამპლუის ფეხბურთელები არიან, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ასაუერი წინდახედული კაცია — არ გამოვა კობიაშვილის ტრანსფერი, აგერ, სიმონსი და პირიქით. გავიხსენოთ, რომ ჩვენებურის ხელში ჩასაგდებად „დორტმუნდიც" ხელებდაკაპიწებულია და თურმე „ბრიუგესაც" არ ემეტება თავისი ფეხბურთელი „შალკესთვის".

# მიხეილ მესხი
## პატარა მიშა





გუშინ საღამოს თბილისში გარდაიცვალა მიხეილ მესხი.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ აღარ გვყავს მიხეილ მესხი-უმცროსი, ვინაიდან სიკვდილმა არ იცის უმცროსი და უფროსი.

სიკვდილი სულ სხვანაირად გაგვახსენებს ხოლმე ადამიანებს.

ამიტომ ჩვენ ვიტყვით, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის მარტოხელა მუსიკოსი მიხეილ მესხი, სხვანაირად „პატარა მიშა".

აღარ არის არაადამიანურად პატიოსანი, მშფოთვარე, დიდი ოჯახური ტვირთის მტარებელი, წარმოუდგენლად ნიჭიერი, ალალი და მგრძნობიარე კაცი.

მან ითამაშა დიდი ფეხბურთი და ჩვენს თვალწინ იყო არა როგორც დიდი მიხეილ მესხის ვაჟი, არამედ როგორც მიხეილ მესხი.

მშვიდობით, უცნაურო და მაგარო!

# მალხაზ ასათიანი ახალგაზრდულში არ ითამაშებს

## ოლიმპიურს ეროვნული გაუღეს

**12 თებერვალს** საქართველოს და მოლდოვის ახალგაზრდული ნაკრებები გაეჯიბრებიან ერთმანეთს. მატჩი „ეროვნულ“ სტადიონზე კი დაიგეგმა, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ეს სათუო გახდა — „ეროვნულის“ მინდორზე საკულტივაციო სამუშაოები დაიწყო.

თუმც ბოლო მომენტში გადაწყდა, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მოლდოველ თანატოლებს სწორედ „ეროვნულზე“ უმასპინძლებს — მატჩი 12 საათზე დაიწყება.

ოლიმპიური ნაკრების ახალმა დამრიგებელმა რევაზ არველაძემ გუნდში სხვა ფეხბურთელებთან ერთად ჯერაც ტორპედოელ მალხაზ ასათიანსაც უხმო — გამოძახებულ ფეხბურთელთა სია იანვრის ბოლოს გამოცხადდა, მაგრამ 12 თებერვალს ასათიანი ახალგაზრდულში არ იქნება. როგორც არველაძემ გვითხრა, მას აცნობეს, რომ ასათიანი იტალიაში აპირებს ჩასვლას მოსკოვის „ლოკომოტივიდან“.

ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ ასათიანს იტალიის ვიზა ჯერ არ აუღია.

**დავით თავართქილაძე**





რევაზ არველაძე სადებიუტო მატჩს მალხაზ ასათიანის გარეშე ჩაატარებს

*ბოსნიურ მეჩგორიეში მოსამზადებლად მყოფი თბილისის „დინამო“ გუშინ შიროკი ბრიაგს 30 კილომეტრის დაშორებით ესტუმრა და ამავე სახელწოდების გუნდთან მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. მასპინძლებთან ჩვენებს გუშინწინ უნდა ეთამაშათ, მაგრამ თოვლიანობის გამო შეხვედრა მეორე დღისთვის გადაიდო.*

*გუშინ კი „დინამო“ „შიროკი ბრიაგთან“ 0:3 დამარცხდა*

# დინამომ ფართოდ შეუტია და ფართოდ გაუშვა



ივო შუშაკი

**თბილისელთა** მწვრთნელმა გუნდი ორი შემადგენლობით თითო ტაიმი ათამაშა და შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტიც ჩაუტარებია — ივო შუშაკმა ერთბაშად სამი თავდამსხმელი გაიყვანა მინდორზე. შესვენებამდე მეტოქეს ბობოხიძე, მიქაძე და იაშვილი უტევდნენ. შემდეგ კი ალექსიძე, დარასელია და ახალაია.

თბილისის „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ მეჩგორიედან გვითხრა, რომ მასპინძლები მე-6 წუთზე ერცეგმა დააწინაურა, სამი წუთის შემდეგ ჰრგოვიჩმა, რომელიც ბოსნიის ნაკრების ფეხბურთელია და „შიროკი ბრაიგამდე“ იაპონურ „ოსაკაში“ თამაშობდა, ანგარიში გააორა, 28-ე წუთზე კი იმავე ერცეგმა თბილისელებს მესამე გოლიც გაუტანა.

პირველ ტაიმში „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: *გვარამაძე, მაზიაშვილი, ხიზანეიშვილი, კანდელაკი, მანწკავა, სამხარაძე, კვირკველია, მანჩხავა, ბობოხიძე, მიქაძე, იაშვილი.* შესვენების შემდეგ კი შუშაკმა მთელი გუნდი შეცვალა: *ზოიძე, მამიაშვილი, კაშაკიძე, ამისულაშვილი, ბურდული, გოგიბერიშვილი, ანჩაბაძე, სახვაძე, დარასელია, ალექსიძე, ახალაია.*

მატჩის დამთავრებამდე თორმეტი წუთით ადრე დაშავდა ლადო ბურდული, რომელიც კვირკველიამ შეცვალა. ბურდულის ტრავმა რამდენად სერიოზულია, „დინამოს“ ექიმები დღეს იტყვიან.

ბრაზილიელი კარლოსი, რომელსაც ბოსნიაში სიცხემ აუწია, გამოჯანმრთელებულა, მაგრამ მწვრთნელები გართულებებს მორიდებიან და ფეხბურთელი გუშინ დაუსვენებიათ.

დღეს „დინამო“ მეჩგორიეში ხორვატიის პირველი ლიგის „მეტალკა ოსიეკს“ ისევ სათადარიგო შემადგენლობით ეთამაშება, ხვალ კი დაგეგმილ ტურნირში ჩაებმება.

**კობა ინასარიძე**

# მეტალურგის მომავალი ფეროში დნება

**10 დღეა,** ზესტაფონის „მეტალურგი“ საგაზაფხულო მზადებას შეუდგა. შემოდგომაზე ფინანსურად შეჭირვებულ გუნდს ნაახალწლევს ფეხბურთელებიც გაექცნენ. მეკარე ლაბაძემ თავშესაფარი „კოლხეთში“ იპოვა, მცველი გურეშიძე „ბათუმს“ შეეკედლა. დანარჩენებიც შორიახლოს მიმოიფანტნენ და ზაურ ჩუბინიძეც ქალაქ-ქალაქ დაეძებდა გაფანტულ შეგირდებს.

მწვრთნელმა ფეხბურთელების ერთი ნაწილის მობრუნება მოახერხა, მერე კლუბიდან წასული პრეზიდენტი ნუგზარ მდივანიც გამოჩნდა და „მეტალურგშიც“ დათბა.

გუნდიდან გაქცეულთა სანაცვლოდ ახალი მოთამაშეებიც გამოჩნდნენ. ზოგი მათგანი ყოფილი მეტალურგია, ზოგიც ზესტაფონში თამაშის მოსურნე. ალბათ, ამიტომაც ითქვა, ზესტაფონში გუნდი კეთდებაო.

დაშლილის აღორძინებას ფული სჭირდება, რომელიც ჯერ „მეტალურგში“ არ არის. ფეხბურთში მობრუნებულმა ნუგზარ მდივანმა სავარჯიშოდ აუცილებელი სახსრები კი მოიძია, მაგრამ ლიგაში დასარჩენად მებრძოლი ზესტაფონელებისთვის ის ფული ზღვაში წვეთის ტოლფასია. ვერც მდივანი აუვა კლუბის გასავალს. დახმარების გარანტიებს ფეროშენადნობთა ქარხნის თურქი მეპატრონე იძლევა, მაგრამ რეალური ჯერ არაფერი ჩანს. მდივანი კი სულაც არ აპირებს ეულად ზიდოს მძიმე ტვირთი.

ზესტაფონელები მაინც იმედიანად არიან და ახალ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებიც გაუმართავთ. „მეტალურგში“ ბურთაობის სურვილი აწ უკვე ყოფილ სიონელებს — კახა სიდამონიძეს და ზაზა ცქიფურიშვილს გასჩენიათ. ეს საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიჩარხება, თუ თურქი სიტყვას საქმედ აქცევს და ზესტაფონური გუნდი შარშანდელივით ულუკმაპუროდ არ დარჩება.

**მამუკა ძვანტალიანი**

| საფრანგეთი | ესპანეთი |
|---|---|
| მეორე დივიზიონი | თასის ნახევარფინალი |
| XXV ტური | პირველი მატჩი |
| სენტ ეტიენი — ტულუზი გადაიდო | უელვა 2:0 ოსასუნა |

| იტალია | შოტლანდია |
|---|---|
| თასის ნახევარფინალი | ლიგის თასი |
| პირველი მატჩი | ნახევარფინალი |
| პერუჯა 0:0 მილანი | *სელტიკი* 3:0 დანდი იუნაიტედი |

# თებერვალში ზღვაც კარგია

**საგაზაფხულოდ** თავი ქუდში აქვს ბოლნისურ „სიონს“. თემურ მახარაძის შეგირდებმა პირველ ეტაპზე სტაბილურად იბურთავეს და ზედა ექვსეულში ადგილი დაიმკვიდრეს. მადა ჭამაში მოდისო და ქვემოქართლელებს ინტერტოტოს საგზურის მოპოვებაც განუზრახავთ. ბოლნისის გამგებლის ხელშეწყობით „სიონს“ მატერიალურად არ უჭირს და საგაზაფხულო მიზანსაც არ ეთქმის არარეალური. ბევრი რამ თემურ მახარაძეზეა დამოკიდებული, ალღოიან მწვრთნელს არ უნდა გაუჭირდეს გუნდისთვის ახალი მოთამაშეების მორგება. როგორც იცით, ბოლნისელებმა ვეტერანები დაითხოვეს, გამოცდილთაგან მხოლოდ მეკარე თემურ ვოლკოვი და იური გაბისკირია დაიტოვეს. მახარაძე მათ ახალგაზრდებს შეუწყვილებს, ოღონდ ვის, ბოლომდე ჯერაც არ არის გარკვეული. „სიონში“ დღეისთვის 20-მდე ახალწვეული ისინჯება, მათ შორის ისეთებიც არიან, აქამდეც რომ გამოუჩენიათ თავი ეროვნულ ჩემპიონატში.

„სიონისთვის“ დიდი შენამატია ფორვარდთა დუეტი — გონჩაროვმა და წივწივაძემ ქვემოქართლელთა პირველივე საკონტროლო მატჩში გამოიჩინეს თავი. „დინამო 3“-თან 2:0 მოგებულ შეხვედრაში გონჩაროვმა გოლი გაიტანა, წივწივაძემ კი ორივე საგოლე კომბინაციაში შეიტანა წვლილი.

თემურ მახარაძე დღეს დილომში „ლოკომოტივი 2“-ს გააჯიბრებს გუნდს, 10 თებერვლიდან კი ალბათ ზღვაზე გაემგზავრებიან ბოლნისელები.

ქობულეთში გვსურს ორკვირიანი შეკრების მოწყობა და გუნდის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით მზადებას ზღვისპირეთში განვაგრძობთო — გვითხრა გუშინ „სიონის“ ტექნიკურმა დირექტორმა პეტრე დანელიამ. ბოლნისელები ორკვირიან შეკრებას სათასო მეთექვსმეტედფინალური პირველი მატჩის შემდეგაც გეგმავენ.

შეგახსენებთ, მეთექვსმეტედფინალში „სიონს“ რეგიონალლიგელი „ზოოვეტი“ ჰყავს მეტოქედ.

**ბაადა ძვანტალიანი**



თემურ მახარაძე



REUTERS ფოტო

სელტიკი — დანდი იუნაიტედი. გლაზგოელმა ბობო ბალდემ (ზურგით) თავი ორი გოლით გამოიჩინა

სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებთ, რომ გარდაიცვალა
**მიხეილ მესხი**
და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**მიხეილ მესხი**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ დამწუხრებულია
**მიხეილ მესხის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 6 თებერვალი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| აეკ 64:81 ეფესი | ჟალგირისი 88:67 ტაუ |

| C ჯგუფი | |
|---|---|
| ვილერბანი 104:103დ.დ.(89:89) პარტიზანი | ბუდუჩნოსტი 80:89 მაკაბი |
| ოლიმპიაკოსი 71:68 რეალი | ოლიმპია 94:92 სიენა |

# იაშვილმა კუნთი და ძირითადი დაიბრუნა


ტრავმამოშუშებული ალექსანდრე იაშვილი (ბურთით) მოედანზე 90 წუთს ჯერჯერობით ვერ ძლებს

*გერმანული მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგის" ქართველი თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა და თამაშიც განაახლა. მწვრთნელი ფინკე ჩვენიანის მომზადების დონით კმაყოფილია და ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებისთანავე გუნდის ძირითად შემადგენლობას დაუბრუნა. მართალია, იაშვილი მწვრთნელმა ბოლო ორ მატჩში შეცვალა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ფეხბურთელმა მოედანზე დავალება ვერ შეასრულა. სამი თვის ნამკურნალევი იაშვილისთვის მთელი 90 წუთი თამაში ჯერ ნამეტანიაო – უთქვამს ფინკეს*

მეორე ბუნდესლიგის განახლებიდან კი „ფრაიბურგმა", რომელიც უმაღლესთა შორის დასაბრუნებლად იბრძვის, ორ მატჩში უკვე ოთხი ქულა დაკარგა, მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა და მდევრებიც მიუახლოვა. „ფრაიბურგმა" ჯერ შინ ფრედ 1:1 ითამაშა „ალემანიასთან", წინა უქმეებზე კი ფრანკფურტში „აინტრახტთანაც" მატჩი ასევე ანგარიშით დასრულა.

— ფრანკფურტში ფრე ურიგო შედეგი არ არის. გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა. აი, „ალემანიასთან" დაკარგულმა ორმა ქულამ კი უფროსობა გაანაწყენა. ჩვეულად ვერ ვითამაშეთ, მოგებას მაინც ვიმსახურებდით, მაგრამ არ გაგვიმართლა. მიუხედავად ამ ორ ტურში დაკარგული ქულებისა, ვფიქრობ, ბუნდესლიგაში დაბრუნების რეალური შანსი გვაქვს. უახლოეს მდევარ „მაინცს" ქულით ვუსწრებთ, მეხუთე ადგილზე მყოფ „ალემანიას" ოთხით, „აინტრახტს" კი ქულით და ერთი თამაშით ჩამოვრჩებით — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა.

**— შენი ჯანმრთელობის საქმე როგორაა?**

— ყველაფერი კარგადაა. საბოლოოდ გამოვჯანმრთელდი და ნელ-ნელა სასურველ სათამაშო ფორმას ვიბრუნებ. კუნთებში ძალა დამიბრუნდა. მოკლედ, ახლა ჯანზე ვარ, ვთამაშობ, გუნდსა და მწვრთნელს ჩემი ეიმედება.

**— ბოლო ორ მატჩში ორჯერვე შეგცვალეს...**

— ეგ ტაქტიკური მოსაზრებების გამო. თანაც დიდხანს ვმკურნალობდი და ფიზიკურად ჯერ კიდევ არ ვარ სათანადოდ მომზადებული. მომავალ ტურში „ალენს" შინ ვმასპინძლობთ და, ალბათ, ისევ ძირითადში ვითამაშებ, შესაძლოა, შეუცვლელადაც, უკვე საგრძნობლად მოვღონიერდი.

**ძოზა ინასარიძე**


გოჩა ჯამარაულის (მარჯვნივ) საგოლე პასებით დონეცკელებმა ესპანეთში ორჯერ გაიხარეს

# ჯამარაულმა ბარსელონას მძლეველს სძლია

## დემეტრაძემ ბანკი მოილია და ვარჯიშისთვის მოიცლის

**ესპანურ** შეკრებაზეა გოჩა ჯამარაულის და გიორგი დემეტრაძის „მეტალურგი". დონეცკელები ბარსელონის მახლობლად, დაბა ჟირონაში ემზადებიან და საწვრთნელ პროცესს საკონტროლო მატჩებსაც უნაცვლებენ.

ჯერაც უმთავარმწვრთნელო „მეტალურგმა", რომელსაც დროებით სევიდოვი ავარჯიშებს, ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. უკრაინელებმა ჯერ „ბანიოლარი" მოიგელეს 4:0. ჯამარაულმა დონეცკელ ძირითადებთან ერთად მეორე ტაიმში ითამაშა და ზაკარლიუკის მესამე გოლში ლომის წილი დაიდო.

გუშინწინ „მეტალურგი" „ფიგერესს" შეხვდა. ეგებ გახსოვდეთ კიდეც, ამ მოკრძალებული შესაძლებლობის ქვედალიგელმა შარშან წლის სენსაცია გამოაცხო — ესპანეთის თასიდან „ბარსელონა" დაიფრინა.

„ფიგერესმა" „მეტალურგთან" გვარიანად იჭიდავა, ორწუთიან მონაკვეთში ორბურთიანი ჩამორჩენაც გაქვითა, მაგრამ საფინალო სასტვენის წინ მაინც გატყდა — ჯამარაულმა ზუსტი პასით დრანოვი დატოვა საგოლე პოზიციაში და სტუმრებმაც 4:3 გაიმარჯვეს. პირველი მატჩის მსგავსად, ქართველი ნახევარმცველი სევიდოვმა ამჯერადაც მეორე ტაიმში ათამაშა.

გიორგი დემეტრაძეს კი დღეს ელიან ჟირონაში უკრაინელები. ქართველ თავდამსხმელს საბანკო პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი სან სებასტიანში და ხვალიდან ალბათ, ახალ გუნდთან ერთად შეუდგება წვრთნას.

ჟირონაში „მეტალურგს" კიდევ ორი საკონტროლო მატჩი აქვს დაგეგმილი.

**ბაატა ძმანტალიანი**

# შეიფარებს ყაველაშვილი ხომერიკს?

*ლევან ხომერიკის სატრანსფერო თავგადასავალზე ბევრის თქმა შეიძლება. ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვა, ფინანსური პრობლემები, ტრავმები, გუნდის დაშლა და გაურკვევლობა მონაცვლეობით უმრუდებდნენ გზას „აარაუს" ქართველ თავდამსხმელს.*

*„აარაუს" სარეზერვო გუნდის „გაქრობამ" ჩვენებური მთლად ჰაერში გამოკიდა. არადა, თამაშს დანატრებული ლევან ხომერიკი რამდენიმე თვეა, ამაოდ ცდილობს სხვა თავშესაფრის პოვნას. ამასობაში დრო მირბის... დრო, რომელმაც ჯერაც ვერ წაართვა ქართველ ფეხბურთელს უკეთესი მომავლის იმედი.*

*გუშინ ლევანს შვეიცარიაში დავუკავშირდით*


ლევან ხომერიკს ფეხის მოქნევა მოენატრა

## გუნდდაშლილ ქართველს გუნდები გაექცა

— სიახლე ჯერ არაფერია. თითქმის ყველა შვეიცარიული კლუბი ახლა უცხოურ შეკრებაზეა და ჩემი ტრანსფერიც ამ დღეებში არ მოხდება. ამ კვირის ბოლოს კი, ალბათ, ყველაფერი გადაწყდება. გუნდებიც ჩამოვლენ და ჩემი მენეჯერის დახმარებით მათთან უფრო კონკრეტულად მოვილაპარაკებ — გვითხრა ხომერიკმა — ახლა ინდივიდუალური პროგრამით ვვარჯიშობ. ჩემთან ერთად „აარაუს" სარეზერვო გუნდიდან გაშვებული ხუთი-ექვსი ფეხბურთელიც ემზადება.

**— „ვოლენის" გარდა კიდევ რამდენიმე გუნდი იყო შენით დაინტერესებული...**

— კი, მაგრამ „ბადენის" და „კონკორდიას" ვარიანტები უკვე გამოირიცხა. მათ უფულობის გამო გადაიფიქრეს ჩემი გადაყვანა, „ვოლენთან" მოლაპარაკებები კი დღემდე გრძელდება. ამ კლუბს ჩემს მიმართ ინტერესი არ განელებია, თუმც შესათანხმებელი ჯერაც ბევრია.

**— ესე იგი, ახლა მხოლოდ ერთი ვარიანტი გაქვს — „ვოლენი"...**

— რეალური უფრო ეგ არის, თუმცა, როგორც მენეჯერმა მითხრა, მიხეილ ყაველაშვილის „ლუცერნის" საკითხიც განიხილება. არ ვიცი, ეს რამდენად შესაძლებელია, მაგრამ გამორიცხული არაა, „ლუცერნში" გადავიდე. წინასწარ არ მინდა ლაპარაკი, სადაც ამდენი ვითმინე, რამდენიმე დღესაც დაველოდები.

**— „აარაუს" ხელმძღვანელობა არ გეხმარება?**

— როგორც ვიცი, კლუბიც აქტიურად მუშაობს ჩემს ტრანსფერზე. „აარაუსთან" კონტრაქტი მაისში მიმთავრდება და, ცხადია, ჩემი გაყიდვა სურს, თუმც ვფიქრობ, უფრო რეალური განათხოვრებაა. ამდენი ხნის უთამაშებელ ფეხბურთელში ფულის გადახდას ხომ ყველა მოერიდება.

**— დაახლოებით როდის გაირკვევა სად გააგრძელებ კარიერას?**

— მაქსიმუმ ათ დღეში უნდა გადაწყდეს ყველაფერი. ამ დროს კლუბებიც დაბრუნდებიან შვეიცარიაში და მეც მეშველება. არ მეგონა, მოედანზე გასვლა და ბურთთან შეხება ასე თუ მომენატრებოდა, მაგრამ რას ვიზამ. შეგუებას არ ვაპირებ და იმედია, მალე მოედანს დავუბრუნდები.

**ძახა შალამბერიძე**

# რიგელებმა კორლალიძე მარტო არ დატოვეს

## თურქეთში წასული ყიფიანი ლატვიაში აღმოჩნდება

**ლატვიაში** ეულად დარჩენილი ქართველი ნახევარმცველი ლევან კორლალიძე და რიგის „სკონტო" ახალი სეზონისთვის ემზადებიან. „თანამეგობრობის თასის" ფინალისტი „სკონტო" მშობლიურ ქალაქში ვარჯიშობს, 10 თებერვალს კი თურქეთს მიაშურებს ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. ამასობაში შესაძლოა, ლევან კორლალიძეს მხარი თანამემამულემაც დაუმშვენოს — თბილისის „ვიტ ჯორჯიას" შემტევი ნახევარმცველი გიორგი ყიფიანი დღესაც „სკონტოში" ვარჯიშობს და დღე-დღეზე მისი საკითხიც გადაწყდება. თუ ყიფიანი რიგელებს თურქეთში გაჰყვა, ჩათვალეთ, რომ ალექსანდრ სტარკოვის გუნდი ჩვენებურთან კონტრაქტს გააფორმებს. ერთი სიტყვით, ყიფიანი-„სკონტოს" ურთიერთობას 10 თებერვლამდე დაესმება ბეჭედი.

„თანამეგობრობის თასზე" ლატვიელთა შორის ლევან კორლალიძე ერთ-ერთი გამორჩეული იყო. როგორც გავიგეთ, მისი თამაში რამდენიმე რუსულ კლუბსაც მოსვლია თვალში. ამის გასაგებად გუშინ ლევანს ლატვიაში დავუკავშირდით:

— დაინტერესება იყო, მაგრამ ამას გაგრძელება არ მოჰყოლია. რამდენიმე გუნდი, როგორც ვიცი, მართლა მაკვირდებოდა, თუმც მათი ვინაობის დასახელებას აზრი არა აქვს. უბრალოდ, კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს. თანაც არა მგონია, ზაფხულამდე სადმე გადავიდე. ახლაც „სკონტოსთან" ერთად ვემზადები და გუნდს თურქულ შეკრებაზეც მივყვები. კარგი იქნება, თუ გიორგი ყიფიანიც შეგვემატება — გვითხრა ლევან კორლალიძემ.


ლევან კორლალიძე „სკონტოში" ზაფხულამდე დარჩება

**ძახა შალამბერიძე**



მარსელი — ლე ავრი. „ველოდრომზე" დმიტრი სიჩევმა ბენეფისი მოიწყო

# მარცხთა კუნძული

## დედაქალაქს დედა აღარ ჰყავს

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXVI ტური**

**სედანი 1:2 ოსერი**

1:0 ნდიეფი (3), 1:1 ჯ. სისე (63), 1:2 ლაშუერი (88)

**მარსელი 2:0 ლე ავრი**

1:0 სიჩევი (15), 2:0 ვან ბუიტენი (50)

**ბასტია 1:0 პსჟ**

1:0 ფ. მორისი (37)

**ლანსი 3:3 ბორდო**

1:0 უტაკა (3), 2:0 დ. მორეირა (8), 2:1 პაულეტა (16), 3:1 სიბიერსკი (31), 3:2 აფანუ (49), 3:3 პაულეტა (78)

**მონპელიე 2:1 სტრასბური**

1:0 ბ. რობერი (30), 1:1 ლე პენი (49), 2:1 ბარბოსა (56)

**ნანტი 1:0 რენი**

1:0 გ. პუიოლი (78)

**ტრუა 1:0 ნიცა**

1:0 საიფი (4)

**მონაკო 2:0 ლიონი**

1:0 პრსო (30), 2:0 ნონდა (64)

**სოშო — აიაჩო** გადაიდო

**გენგამი — ლილი** გადაიდო

ლანსში, „ფელიქს ბოლერზე", ლორენ დუამელმა დაწყებისა რომ დაუსტვინა, გოლების ცვენა დაიწყო. მეტოქეებმა ერთურთის კარებისკენ ჯიქურ გაიწიეს და ულრიხ რამეს ცხრა წუთში მასპინძლებმა ორჯერ გაუტანეს.

ლანსელთა პირველივე შეტევა მარცხენა ფლანგიდან ჯონ უტაკამ მყისვე გოლად აქცია — მცველებს დაასწრო და ანგარიში გახსნა. მალე დანიელ მორიერამაც იხეირა — თანაგუნდელს ბურთი გაუთამაშა, საჯარიმოში შეაგელვა და ზუსტი დარტყმით სხვაობა ორამდე გაზარდა.

რომ არა პორტუგალიელი მეგოლე პედრო პაულეტა „ბორდო" ალბათ გონს ვერც მოეგებოდა. პედრომ საჯარიმო უზადოდ შეასრულა, დაახლოებით 20 მეტრიდან შარლ იტანჟეს უზადოდ დაურტყა.

დამხვდურებს გაშვებული გოლი დიდად არ უნაღვლიათ, ძველებურად შეუტიეს და ჯონ უტაკამ ანტუან სიბიერსკის კარის წინ ბურთი მიართვა. სიბიერსკიმ დაჰკრა და ულრიხ რამე მესამედ დაალონა.

შესვენების შემდეგ თამაში შარლ იტანჟეს შეცდომით განახლდა. კუთხურიდან ჩაწოდებული თავის ბაქანში იტანჟემ ცხვირწინ მოიგერია, რაც კოჯო აფანუმ არ აპატია და „ბორდოს" ქულის გადარჩენის შანსი გაუჩნდა.

მეორე ტაიმის შუაწელიდან მასპინძლებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა, რის გამოც ისინი ისევ პედრო პაულეტამ დასაჯა. შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ჟირონდელებმა მეტოქის საჯარიმოსთან სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და შედეგად პორტუგალიელი ფორვარდი მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევებში პაულეტა არ სცოდავს და არც ამჯერად აჰკანკალებია ფეხი. მატჩის მიწურულს სტუმრებს დაიდ ჟემალი კი გაუძევეს, მაგრამ ლანსელებს საამისოდ დრო აღარ დარჩათ, „ბორდოს" კაცნაკლულობით რომ ესარგებლათ.

სწრაფმა გოლმა „სედანს" უფრო ავნო, ვიდრე არგო. ნდიეფიმ, სანამ „ოსერი" დაცვაში მოწესრიგდებოდა, საჯარიმოს ხაზიდან ცაციათი უძლიერესი დაკრულით ფაბიენ კოლის გაუტანა. მეტი სედანელებმა ვერ შეძლეს. გირუს ბიჭები თავის დროს დაელოდნენ, რომელიც მეორე ტაიმში ეწვიათ. საამო საცქერი გახლდათ ჯიბრილ სისეს გოლი. მან თანაგუნდელებთან ერთად დამხვდურთა დაცვა გაამასხარავა და მეკარესთან პირისპირ შეყრილს გატანა არ გასჭირვებია. „სედანი" სამ ქულას დაეშურა და მეტოქის საჯარიმოს მიაწყდა, თუმც სამი კი არა, ქულის აღებაც არ ეწერა. იან ლაშუერმა დასრულებამდე სამი წუთით ადრე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ზუსტი თავურით კარში შეასრიალა და „ოსერის" გამარჯვებას ბეჭედი დაუსვა.

მარსელის „ველოდრომზე" დმიტრი სიჩევის ბენეფისი შედგა. რუსმა პირველ ტაიმში ბრწყინვალე გოლი შეაგდო — საჯარიმოს ხაზიდან ალექსანდრ ვენსელს შორეულ კუთხეში გაუტანა. შესვენების შემდეგ მიშელ გაფურის მიერ კუთხურიდან ჩაკიდებული ბურთი სიჩევმა ძელთან მოიხელთა და დანიელ ვან ბუიტენს მიართვა. ვან ბუიტენი კი ის კაცია, ბოლო რამდენიმე თამაშში მინდორი უგოლოდ რომ არ დაუტოვებია და არც ამჯერად უღალატა მიზანმა.

„სტრასბურთან" გამარჯვებით დიდი ხნის წყურვილი მოიკლა „მონპელიემ", თუმც გასავარდნი ზონიდან თავის დასაღწევად მხოლოდ ეს სამი ქულა არ ეყოფა. მასპინძლებმა თითო ტაიმში თითოჯერ იხეირეს. ჯერ სედრიკ ბარბოსამ უძღვნა საგოლე პასი ბერტრან რობერს, მერე კი თვითონ ბარბოსა ჩაუსაფრდა ბურთს ახლო ძელთან და ვინსენ ფერნანდესის კარი ერთ შეხებაში დალაშქრა. ეს მატჩი უხეშობითაც გამოირჩა. სტეფან ლანომ სტუმრებს ოთხი ყვითელი მიართვა, მასპინძლებს — სამი. თან მატჩის ბოლოს „მონპელიეს" ჟან კრისტოფ რევიერი გაუძევა. „სტრასბურიდან" ერთი საპასუხო გოლი ულრიხ ლე პენის ანგარიშზეა.

კორსიკაზე დედაქალაქელებს ალიყური აჭამეს. თითქოს პსჟ-მ ბოლო ტურებში გამოასწორა თამაში, მაგრამ „ბასტია" კუნძულზე მხეცია და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა — 14 საშინაო მატჩიდან მეათე მოიგო. მასპინძლებს ინგლისმოვლილმა ლილან ლასლანდმა უკაპიტნა, გოლი კი ლორენ ბატლეს გამოზომილი პასით საჯარიმოში შენავარდებულმა ფლორიან მორისმა გაიტანა. მატჩის [illegible] სარსმაც არ დაინდო პ[illegible] ფეხბურთელი: ჟოზე ალოიზიო, ფრედერიკ დეუ, ბართოლომეო ოგბეჩე და გაბრიელ ჰაინცე გააფთრხილა, შეხვედრის მიწურულს კი რონალდინიო და პარალო კრისტოპაბი უცერემონიოდ გააძევა.

გრეგორი პუიოლის გვიანი გოლით იმარჯვა „ნანტმა" „რენთან", ხოლო გამარჯვებას დანატრებულმა „ტრუამ" „ნიცა" რაფიკ საიფის მესამე წუთზე გატანილით დაამარცხა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 26 | 12 | 9 | 5 | 40:21 | 45 |
| მარსელი | 26 | 13 | 6 | 7 | 28:23 | 45 |
| ოსერი | 25 | 12 | 7 | 6 | 26:20 | 43 |
| ნიცა | 26 | 11 | 9 | 6 | 29:19 | 42 |
| ლიონი | 26 | 11 | 8 | 7 | 43:32 | 41 |
| ბორდო | 25 | 11 | 7 | 7 | 37:26 | 40 |
| პსჟ | 26 | 10 | 9 | 7 | 32:22 | 39 |
| ბასტია | 26 | 11 | 5 | 10 | 28:29 | 38 |
| სოშო | 24 | 10 | 7 | 7 | 25:20 | 37 |
| ლანსი | 25 | 8 | 11 | 6 | 29:26 | 35 |
| ნანტი | 24 | 10 | 5 | 9 | 28:27 | 35 |
| გენგამი | 25 | 10 | 4 | 11 | 34:35 | 34 |
| სტრასბური | 25 | 8 | 7 | 10 | 27:36 | 31 |
| ლე ავრი | 26 | 7 | 8 | 11 | 19:29 | 29 |
| ლილი | 23 | 7 | 7 | 9 | 20:28 | 28 |
| რენი | 26 | 7 | 6 | 13 | 22:29 | 27 |
| აიაჩო | 25 | 6 | 9 | 10 | 20:29 | 27 |
| სედანი | 25 | 7 | 6 | 12 | 27:40 | 27 |
| მონპელიე | 25 | 4 | 9 | 12 | 21:33 | 21 |
| ტრუა | 25 | 4 | 7 | 14 | 15:26 | 19 |

**II დივიზიონი**

**24-ე ტური:** შატორუ — ლავალი 0:2; ბოვე — რეიმსი 1:0; ნანსი — კლერმონი 1:0; კაენი — გრენობლი 0:0; ლე მანი — ისტრი 1:0; ნიორი — ლორიანი 1:1; ვალანსი — ამიენი 0:1; ვასკელი — მეცი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 24 | 14 | 5 | 5 | 35:15 | 47 |
| ლე მანი | 24 | 12 | 6 | 6 | 29:23 | 42 |
| ლორიანი | 25 | 12 | 6 | 7 | 30:25 | 42 |
| მეცი | 24 | 11 | 7 | 6 | 30:19 | 40 |
| გრენობლი | 25 | 9 | 10 | 6 | 30:16 | 37 |
| შატორუ | 23 | 10 | 6 | 7 | 25:22 | 36 |
| ნიორი | 25 | 9 | 7 | 9 | 27:27 | 34 |
| ვალანსი | 24 | 9 | 5 | 10 | 27:26 | 32 |
| ამიენი | 23 | 8 | 7 | 8 | 17:17 | 31 |
| ლავალი | 23 | 8 | 6 | 9 | 23:24 | 30 |
| კლერმონი | 24 | 8 | 5 | 11 | 26:34 | 29 |
| კრეტეი | 21 | 6 | 10 | 5 | 26:23 | 28 |
| ბოვე | 23 | 7 | 7 | 9 | 12:13 | 28 |
| ნანსი | 23 | 7 | 6 | 10 | 19:27 | 27 |
| ვასკელი | 23 | 5 | 11 | 7 | 16:20 | 26 |
| კაენი | 24 | 5 | 11 | 8 | 26:31 | 26 |
| გენიონი | 21 | 6 | 6 | 9 | 18:22 | 24 |
| სენტ ეტიენი | 22 | 5 | 8 | 9 | 16:21 | 23 |
| რეიმსი | 23 | 4 | 11 | 8 | 17:23 | 23 |
| ისტრი | 24 | 5 | 8 | 11 | 20:41 | 23 |

# კაპიკია რომას ფასი

### იტალია

**თასის 1/2 ფინალი. 1 მატჩი**

**ლაციო 1:2 რომა**

0:1 კასანო (12), 0:2 ემერსონი (49), 1:2 ფიორე (76)

**ლაციო:** მარკეჯანი, პანკარო, ნეგრო, სტამი, ფავალი, კ. ლოპესი, დ. სტანკოვიჩი, ლივერანი (სიმეონე 65), ფიორე, კიეზა (ლაზეტიჩი 76), ს. ინძაგი (კორადი 82)

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**რომა:** პელიცოლი, პანუჩი, დელასი, ვ. სამუელი, კანდელა, კაფუ, ემერსონი, ტოტი (მონტელა 81), დელვეკიო, ა. კასანო (ლიმა 69)

**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო

**გაფრთხილება:** სტამი, ფავალი, ნეგრო, დელასი, კაფუ

**მსაჯი:** ტრენტოლონი

**60 000 მაყურებელი**

რომაული გუნდები „სტადიო ოლიმპიკოზე" საუკეთესო შემადგენლობებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა. მართალია, თასი ჩემპიონატი არ არის და, ხშირად, ამ შეჯიბრებაში სათადარიგო შემადგენლობების თამაშს ვუცქერთ, მაგრამ დერბი დერბია, ტრიბუნები ივსება.

ასეთ დროს სიტუაციაში გასარკვევად იმის ცოდნაა საჭირო, ვინ მასპინძელია და ვინ სტუმარი. „რომამ" „ლაციოს" 2:1 მოუგო. რას ნიშნავს ეს, საპასუხო შეხვედრაში „ლაციოს" 1:0 აძლევს ხელს თუ მაინცდამაინც 2:0 უნდა მოიგოს? რობერტო მანჩინის და მისი უხელფასო, თუმცა ფრიად სიმპათიური გუნდის სამწუხაროდ, მაინცდამაინც 2:0-ია საჭირო, რადგან ოთხშაბათს მასპინძლებად ისინი ითვლებოდნენ.

„რომა" მე-12 წუთზე ანტონიო კასანოს თავურით დაწინაურდა. საგოლე პასი ფრთიდან კაფუმ ჩააწოდა. მაგრამ ამ ეპიზოდში მთავარი არც დარტყმა იყო და არც პასი. აქ, მთავარი „ლაციოს" მცველთა შეცდომა გახლდათ, რომელთაც თავიანთ საჯარიმოში მეტოქე ფორვარდის უმეთვალყურეოდ დატოვება მოახერხეს.

აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ინიციატივას „ლაციო" დაეუფლა, „რომას" საჯარიმოს უტრიალა და უტრიალა, მე-40 წუთზე ვეტერანმა ენრიკო კიეზამ ძელსაც გაარტყა, მაგრამ ანგარიში მეორე ტაიმის მე-4 წუთამდე არ შეცვლილა: მეორე ტაიმის მე-4 წუთზე „რომას" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ემერსონმა 35 მეტრიდან ეფექტური დარტყმით გაზარდა სხვაობა.

„ლაციომ" თამაშის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე შეაგდო თავისი გოლი. ეს სტეფანო ფიორემ შეძლო.

მატჩის შემდეგ დამარცხებული მასპინძლების ახალგაზრდა მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ განაცხადა: „რომას" კაპიკის სადირალი არ გაუკეთებია. მე-15 წუთის შემდეგ მხოლოდ ერთხელ დაარტყეს კარის მიმართულებით და გოლი შეაგდეს. მათი სხვა ეპიზოდი მე პირადად არ მახსოვს. უნდა აღვნიშნო, რომ ეს გოლი ემერსონმა ფანტასტიკური სილამაზისა გაიტანა. მაგრამ ისიც უნდა დავძინო, რომ ამ დამარცხებით ბევრი არაფერი დაგვიკარგავს. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, უპირატესობას ვფლობდით, ვუტევდით. თუმცა, სამწუხაროდ, ბოლოს გოლებს ითვლიან".

„რომას" მწვრთნელი ფაბიო კაპელო:

„არ ვიზიარებ მანჩინის შეხედულებას. „ლაციო" ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში გახლდათ უფრო სახიფათო, მაგრამ ჩვენ ორი გოლის გარდა კიდევ სამი აშკარა საგოლე მომენტი გვქონდა".

**ბაჩუნა ძიძია**




ლაციო — რომა. ფრანჩესკო ტოტი იაპ სტამმა აღრიალა



ლივერპული — კრისტალ პალასი. ჯულიან გრეის გოლის გატანაში ხელი ვერც სემი ჰიპიამ შეუშალა

# ფრენსისმა ლივერპული გასახდელში დასაჯა

## ინგლისი

**ასოციაციის თასი**
**IV ეტაპი. გადათამაშება**

**ლივერპული 0:2 კრისტალ პალასი**
0:1 გრეი (55), 0:2 ანშო (79ს.კ.)

**მილუოლი 1:2დ.დ.(1:1) საუთჰემპტონი**
0:1 ოკლი (21), 1:1 რიდი (37), 1:2 ოკლი (102)

**სანდერლენდი 2:2დ.დ. (პენ.3:0, 2:2) ბლექბერნი**
1:0 ფილიპსი (10), 1:1 ფლიტკროფტი (50), 2:1 გ. მაკკანი (79), 2:2 ფლიტკროფტი (90)

**პირველდივიზიონელმა** „კრისტალ პალასმა", რომელიც ბოლო ოცი წუთი სულაც ათი ფეხბურთელით თამაშობდა, „ლივერპული" მისსავე „ენფილდ როუდზე" დაამარცხა თასის მეოთხე ეტაპის გათამაშებაში, რაც, ცხადია, ინგლისის კვირის ყველაზე ხმაურიან სპორტულ ამბად იქცა.

პირველ ტაიმში „ლივერპული" სრულად ბატონობდა მოედანზე და ერთიმეორეზე ქმნიდა საგოლე მომენტებს. პალასელთა კარში კი იდგა სათადარიგო მეკარე სედრიკ ბერტელინი, ვინაც ლატვიელ ალექს კოლინკოს ცვლიდა და მასპინძლებს გოლის გატანას არ ანებებდა. ისე, ლივერპულელ ფორვარდებსაც წახდენოდათ მიზანი, თორემ მარტო მეკარე რას გახდებოდა.

ერთი სიტყვით, „კრისტალ პალასი" არაფრით ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც ასოციაციის თასის 1990 წლის ნახევარფინალში „ლივერპულზე" სარაკო გამარჯვება მოიპოვა და დღესაც რომ ტკბილად მოსაგონრად რომ აქვს.

მეორე ტაიმში რაღაც რომ მოხდებოდა, პირველს პალასელთა მენეჯერ ტრევორ ფრენსისს უგრძნო გულმა. შესვენებისას, გასახდელში მას ბიჭებისთვის უთქვამს, მეტოქემ ისეთი მომენტები გააფუჭა, უეჭველად დაისჯება და აბა, თქვენ იცითო. ფეხბურთელებსაც გული მიეცათ და თამაშის განახლებიდან ათ წუთში ჯულიან გრეიმ, რაკილა არავინ მეთვალყურეობდა, მასპინძელთა საჯარიმოში ჩაირბინა და ირეი დუდეკს შორეულ კუთხეში გაუტანა.

ამის მერე „კრისტალ პალასი" კაცნაკლული დარჩა. შეცვლაზე შესული დაგი ფრიდმანი სემი ჰიპიას ეუხეშა და მოედნიდან მიაბრძანეს. „ამ დროს გავიფიქრე, მორჩა, ახლა კი შეგვაჯდება „ლივერპულიო" — აღიარა ნამატჩევს ფრენსისმა, მაგრამ „ლივერპულმა" პირველი ტაიმის მსგავსად გააგრძელა თამაში, ანუ ბლომად მომენტები ქარს გაატანა. გამორჩეულად არ უმართლებდა ემილ ჰესკის, რომელზეც ჟერარ ულიემ თქვა, ისეთი ბურთები ვერ გაიტანა, მთელი გუნდის განწყობაზე იმოქმედაო.

ბოლოს კი სრულიად წარმოუდგენელი რამ მოხდა — „კრისტალ პალასმა" მეორე გოლი გაიტანა. იმავ გრეიმ თავი დაადო და 50 მეტრი ირბინა, საჯარიმოში ჩავიდა, დაარტყა და ბურთი სტეფან ანშოს ფეხიდან შეგორდა კარში.

„კრისტალ პალასის" გამარჯვება მით უფრო საოცარია, რომ გუნდი პირველ დივიზიონშიც ვერ ყოჩაღობს და ოდენ მე-11 ადგილზეა. მომდევნო წრეში მისი მეტოქე „ლიდს იუნაიტედია", რომლის მენეჯერი ტერი ვენეიბლზიც ადრე „კრისტალში" მუშაობდა. ჟერარ ულიემ კი ესღა დასძინა: „არის დღეები, როცა საოცრად არ გიმართლებს, ესეც ერთ-ერთი ასეთი დღე იყო".



„კრისტალ პალასის" მწვრთნელმა ტრევორ ფრენსისმა „ენფილდი" თავაწეულმა დატოვა

კიდევ ორი გადათამაშება იყო და 90 წუთი არც ერთ მათგანს არ ეყო.

10 დღის წინ „ბლექბერნი" 1:3 აგებდა „სანდერლენდთან" და გათანაბრება შეძლო. საქმე ახლაც ისე წავიდა, რომ ბლექბერნელები მდევრად აღმოჩნდნენ.

მასპინძლები კევინ ფილიპსმა დააწინაურა და მთელი პირველი ტაიმიც „სანდერლენდისა" იყო. შესვენებიდან ხუთ წუთში გარი ფლიტკროფტმა გაითანაბრება მოახერხა, მაგრამ „სანდერლენდი" ისევ წინ გაიჭრა, ამჯერად გევინ მაკკანმა გაიტანა 25 მეტრიდან ისე, რომ ბურთს ძირს დაშვება არ აცალა, ჰაერშივე ამოჰკრა. „ბლექბერნმა" მეორედ ბოლო წუთზე გაათანაბრა, ფლიტკროფტმა დუბლი მიითვალა, თუმც საქმე პენალტებამდე რომ მივიდა, სტუმრებმა ველარაფერი გააწყვეს, სანდერლენდელთა მეკარე თომას სორენსენმა ორი დარტყმა აიღო, დევიდ იონსენმა კი კარს ააცილა და „სანდერლენდს" შემდეგ ეტაპზე გაუკაფა გზა, სადაც მისი მეტოქე პირველდივიზიონელი „უოტფორდი" იქნება.

გოლების იმტაზე მოვიდა საუთჰემპტონელი მეტ ოაკლი, რომელსაც ბოლო ორწელიწადნახევარში სულ ორი გოლი გაუტანია და ერთი ამდენი „მილუოლისთან" შეხვედრაში შეაგდო. ამ გამარჯვების შემდეგ გორდონ სტრაჩანს მომდევნო ეტაპზე კიდევ ერთი დაბალდივიზიონელი ელის, „ნორვიჩი", რომელსაც საკუთარ მოედანზე უმასპინძლებს.

**ირაკლი ნინიძე**

**1/8 ფინალის წილისყრა**

*15 თებერვალი: მანჩესტერ იუნაიტედი — არსენალი; საუთჰემპტონი — ნორვიჩი; ფულემი — ბარნლი; სანდერლენდი — უოტფორდი; შეფილდ იუნაიტედი — უოლსოლი*

*16 თებერვალი: კრისტალ პალასი — ლიდსი; სტოკი — ჩელსი; ვულვერჰემპტონი — როჩდეილი*

# რიასორზე ნათხოვარი ვალტერით იხსოდნენ

## ესპანეთი

**თასის 1/2 ფინალი. 1 მატჩი**

**დეპორტივო 2:3 მალიორკა**

0:1, 0:2 პანდიანი (39, 81), 0:3 ეტოო (82), 1:3 ტრისტანი (893), 2:3 მაკაი (90)

**დეპორტივო:** ხუანმი, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, დონატო, მაურო სილვა, სერხიო (სკალონი 59), დუშერი (აკუნია 72), ამავისკა (მაკაი 46), ტრისტანი, ლუკე

**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა

**მალიორკა:** ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, კორტესი, პოლი, ლუსენმოფი, იბაგასა, ნოვო, რიერა, აროლდ ლოზანო (რობლესი 89), ეტოო (კარლოსი 86), პანდიანი (მარკოსი 84)

**მწვრთნელი:** გრეგორიო მანსანო

**გაფრთხილება:** მიგელ სოლერი, ჟორჟე ანდრადე, აროლდ ლოზანო

**მსაჯი:** ესკინას ტორესი

**26 000 მაყურებელი**

*საპასუხო მატჩი გაიმართება 3 მარტს*

**რა ეშველებოდათ** ქართველ საფეხბურთო ჩინოვნიკებს შუქი სხვა ქვეყნების სტადიონებზეც რომ არ ქრებოდეს. გეხსომებათ, საქართველო — რუსეთის შეხვედრის ჩაშლის შემდეგ თავს იმით იმშვიდებდნენ, აქაოდა, ორი კვირის წინ სევილიაშიც ჩაქრა შუქი „ბეტისი" — „რეალის" თამაშის დროსო.

ახლა ქართველ საფეხბურთო ჩინოვნიკებს თავის მართლების კიდევ ერთი საბაბი მიეცათ: სამეფო თასზე „დეპორტივო" — „მალიორკას" შეხვედრა 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო, რადგან მატჩის წინ „რიასორის" ელექტროსისტემას რაღაც დაემართა.

ისე, ლაკორუნიელთათვის უმჯობესი იყო, იმ დღეს შუქი საერთოდ არ მოსულიყო, რადგან მოედანზე მათ სასიკეთოდ არაფერი მომხდარა.

მოკლედ, საქმე ისაა, რომ სამეფო თასის მფლობელი „დეპორტივო" შესაძლოა, ფინალს მიღმა დარჩეს, ა, „მალიორკას" ერთი წუთიც რომ გაეძლო, ამას უფრო დარწმუნებით ვიტყოდით — ოქმს თუ ჩახედავთ, აღმოაჩენთ, რომ 89-ე წუთამდე სტუმრები 3:0 იგებდნენ.

თამაში მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ ნახევარდაცვაში პოზიციებს თმობდნენ, რამაც მალიორკელები გაააქტიურა და შედეგმაც არ დააყოვნა — კუნძულელი ალვარო ნოვოს ჩაწოდებული ბურთი გალისიელი მცველის ფეხმა აისხლიტა, მაგრამ იმგვარად, რომ ბურთი ვალტერ პანდიანის მიუვიდა და ძლიერი დარტყმით მეკარე ხუანმი სახტად დატოვა.

მოგეხსენებათ, ვალტერ პანდიანი „დეპორტივოს" ფეხბურთელია და „მალიორკაში" იჯარით ჰყავთ გაშვებული.

შესვენების შემდეგ ხავიერ ირურეტამ „დეპორტივო" იმგვარად გადააწყო, რომ იერიშებისთვის სიმწვავე შეემატებინა, თუმცა მიზანთან ახლოს მაინც უფრო სტუმრები იყვნენ. ალვარო ნოვომ ოციოდე მეტრიდან ძელს გაარტყა, წამების მერე კი სამუელ ეტოოს ვერაგული დარტყმული ხუანმიმ ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია.

მატჩის ბოლო ათი წუთი გოლებით დახუნძლული გამოდგა. პანდიანმა არიელ იბაგასას პასი შეირგო და ახლო მანძილიდან მეორე გოლი გაიტანა, რასაც ერთ წუთში ეტოომ მესამეც დაამატა — კამერუნელმა ალბერტ რიერას პასით იხეირა.

და მაინც, ქება და დიდება „დეპორტივოს", რომელმაც ასეთ მძიმე ვითარებაში დანებება არ იფიქრა და ლამის სასწაული მოახდინა. ჯერ დიეგო ტრისტანმა გაიტანა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი, წამატებული დროში კი პრიმერადივიზიონის მთავარმეგოლე როი მაკაიმ სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა — ამ შედეგიანი დარტყმის შემდეგ თამაში აღარც განახლებულა, მსაჯმა საფინალოდ ჩასტვინა.

**გიორგი დარჯანია**



დეპორტივო — მალიორკა. ვალტერ პანდიანმა (№12) ყოფილი თანაგუნდელი დონატო გვარიანად გააწვალა

# ბუტი არც ახლა გაიბუტა

## გერმანია

**თასის 1/4 ფინალი**

**ბოხუმი 3:3დ.დ.(პენ.3:4, 2:2) კაიზერსლაუტერნი**
1:0 ფარენჰორსტი (8), 1:1, 1:2 ლოკვენცი (22, 27), 2:2 რაისი (33), 2:3 ლოკვენცი (102), 3:3 კრისტიანსენი (105)

**უნტერჰახინგი 2:2დ.დ. (პენ.4:5, 2:2) ლევერკუზენი**
0:1 ფრანცა (19), 1:1 ვაკარო (47), 1:2 რამელო (49), 2:2 შუკალო (63)

**მიუნხენი 1:4დ.დ.(1:1) ვერდერი**
1:0 ლაუტი (80), 1:1 კლასნიჩი (85), 1:2 ხარისტიასი (93), 1:3 კლასნიჩი (105), 1:4 ხარისტიასი (120)

**„ბაიერნის"** ჩუბინობას ვერავინ გაჰკრა — გერმანიის თასის დანარჩენმა ნახევარფინალისტებმა მატჩის ძირითადი დროის შემდეგღა გაიღწიეს სიმშვიდობის.

მიუნხენის ყურის ძირში კი ერთი ამბავი იყო — ფაქტობრივად მოყვარულთა „უნტერჰახინგი" ლევერკუზენის „ბაიერს" მასპინძლობდა. ამ გუნდების ძველი ქიშპობა ერთია, მაგრამ ახლა მთავარი სულ სხვა იყო — მორიგი ფეხის დაცდენა და ლევერკუზენელთა დამრიგებელი კლაუს ტოპმიოლერი ნიჩაბზე აღმოჩნდებოდა.

...მეცხრე პენალტზე ჰახინგელ დარლინგტონ ომოდიაგბეს ბაიერელთა მეკარე იორგ ბუტმა არ დაანება გოლის გატანა. მერე კი თავად დადო ბურთი ნიშნულზე და ნახევარფინალში გამსვლელი 11-მეტრიანი შეაგდო — ბუტი ჯერ კიდევ „ჰამბურგში" მეკარეობისას გამოირჩა პენალტების გატანით.

მატჩი დამთავრდა თუ არა ჟურნალისტები „ლევერკუზენის" კომერციულ დირექტორ რაინერ კალმუნდთან შეგროვდნენ და ეს მოისმინეს: „დღეს მოვიგეთ და ეს ერთობ მნიშვნელოვანია. მაგრამ ჩვენ არ უნდა გავაზვიადოთ ეს გამარჯვება, საამისო მიზეზს ნამდვილად ვერ ვხედავ".

მოიგო ბუნდესლიგის აუტსაიდერმა და ფინანსურად შეჭირვებულმა „კაიზერსლაუტერნმაც" — ერიკ გერეტსის ბიჭებმა გამარჯვება სტუმრად გამოგლიჯეს ბუნდესლიგელ „ბოხუმთან".

ზორბა ვრატისლავ ლოკვენცის ჰეთ-ტრიქი ერთია, მაგრამ რომ არა 22 წლის მეკარე ტიმ ვიზე, ნახევარფინალში ვინძლო „ბოხუმი" გამძვრალიყო — ვიზემ ორი 11-მეტრიანი მოიგერია.

„კაიზერსლაუტერნზე" ბარემ იმასაც გეტყვით, რომ საგადასახადო ინსპექციის ვალი 20 მილიონი ევრო ჰქონდა, მაგრამ ახალი წლის აქეთ 7 მილიონის გასტუმრება მოახერხა — ახლა კლუბს 13 მილიონი მართებს ქალაქის მერიის და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ თანხის სანაცვლოდ „კაიზერსლაუტერნი" მერიას თავის სტადიონს დაუთმობს.

ბენჟამინ ლაუტის გოლი „მიუნხენ 1860"-ისთვის ფუჭი გამოდგა — მიუნხენელებს ძირითად დროში ბოლო ათი წუთი უნდა გაეძლოთ, მაგრამ ივან კლასნიჩმა გამათანაბრებელი შეაგდო — ოვერტაიმში კი „მუსიკოსებმა" მიუნხენელთა სამგლოვიარო მარში დაუკრეს.

**დავით თავართქილაძე**

**ნახევარფინალის წილისყრა**

**კაიზერსლაუტერნი — ვერდერი**

**ბაიერნი — ლევერკუზენი**

*მატჩები გაიმართება 4-5 მარტს, ფინალი 31 მაისს ბერლინის „ოლიმპია შტადიონზე"*


UAB "Billjardai" ...
Zeus Company
ზევსი
Billjardai

ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები

1000-ზე მეტი დასახელების



saluc
Master

კონსულტაციები, გარანტია
ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია

95-57-75, ტელ/ფაქსი: 95-88-46



# იბრძოლე და იოცნებე!

## რობერ პირესის ცხოვრების გაკვეთილი

*„თოთხმეტი წლის რომ ვიყავი, ფრანგულის გაკვეთილზე თემა მოგვცეს. უნდა დაგვეწერა, რაზე ვოცნებობდით, რა გვინდოდა გამოვსულიყავით. ჩემი ოცნება ფეხბურთელობა გახლდათ და ასეც დავწერე. ერთი კვირის შემდეგ კი გავიგე, რომ ცუდი ნიშანი მიმიღია. შემდეგ, მასწავლებელი მოვიდა და მითხრა: „მისმინე რობერ, ვფიქრობ, დროა იცოდე, რომ ფეხბურთელობა პროფესიად არვარგა". თავი დავუქნიე, თუმცა შეხედულება არ შემიცვლია. ერთი წლის შემდეგ კი კინაღამ მართლა დავანებე ბურთის დევნას თავი. მიზეზი ის იყო, რომ ახალმა კლუბმა „სტად დე რემსმა" ამიყვანა, მაგრამ თვეების განმავლობაში მესამე შემადგენლობას არ ამაცილა. ამასთან შეგუება აუტანლად ძნელი გამოდგა. თან, დაბალს და გამხდარს თავადაც არ მჯეროდა, რომ რამეს წარმოვადგენდი. ერთი სიტყვით, ერთ მშვენიერ დღეს შინ მივედი და დედას განვუცხადე, რომ ფეხბურთელობა აღარ მსურდა. დედის მაშინდელ რეაქციას განაწყენებას ვერ დავარქმევ, მეტი იყო. „შენ რა, ფიქრობ, რომ ცხოვრება იოლია? კეთილი ინებე და იბრძოლე, თუ გინდა ის მიიღო, რაც გინდა. ბრძოლის გარეშე ოცნება არ აგიხდება" — მითხრა მან. არადა, ფეხბურთელობა მართლაც ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნება გახლდათ. მინდოდა სწორედ ჩემი დღევანდელი ცხოვრებით მეცხოვრა და ეს დედის ნაქეზებით შევძელი".*

აი, ასე ამბობს ფრანგი რობერ პირესი, რომელიც მამით პორტუგალიელია, ხოლო დედით ესპანელი. დღეს იგი ლონდონის „არსენალში" თამაშობს, 29 წლისაა და ინგლისის პირველობის ბოლო ტურში „ფულემის" კარში ორი გოლი გაიტანა.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც იგი ხუთი წლის იყო და უქმეებზე მამამისს ჩრდილო საფრანგეთის სტადიონებზე დასდევდა. მამა მოყვარული ფეხბურთელი გახლდათ.

„მას ძალიან უყვარდა ფეხბურთი, თამაშობდა და სიამოვნებით იქნებოდა პროფესიონალი. ბავშვობაში შაბათ-კვირას მოუთმენლად ველოდი, რადგან ეს მამასთან ერთად წასვლას და ბურთაობას ნიშნავდა. მინდოდა მამას დავმსგავსებოდი. ის ჩემი კერპი იყო".

შაბათ-კვირების შემდეგ კი პატარა პირესის ცხოვრებაში იყო „სენ ანი", „სტად დე რემსი" და ბოლოს პირველი დივიზიონის გუნდი „მეცი".

„მეცში" პირესს გამთამაშებლად იყენებდნენ და ამიტომ, სათადარიგოთა სკამიდან ელოდა თავის ჯერს. ბოლოს ის ჯერიც დადგა, ოღონდ... მარცხენა ფრთაზე, სადაც გუნდს ფეხბურთელი დაუშავდა და მწვრთნელმა გარისკა, გათავისუფლებული ადგილი მას ანდო. ანდო და „მეცს" მარცხენა ნახევარმცველის პრობლემა მთელი ექვსი წლის განმავლობაში აღარ ჰქონია. 1998 წელს გუნდმა, რომელიც ფრანგულ ფეხბურთში ანგარიშგასაწევ ძალად არასდროს ითვლებოდა, ჩემპიონის ტიტული „ლანსთან" მხოლოდ გატანილ-გაშვებულ გოლთა უარესი მაჩვენებლის გამო წააგო.

პირესს, ცხადია, გული დასწყდა, მაგრამ დიდმა კომპენსაციამ არ დაიგვიანა — ზაფხულზე მკერდი მსოფლიოს ჩემპიონის მედლით, ხოლო ჯიბე მარსელის „ოლიმპიკის" კონტრაქტით დაიმშვენა. მაგრამ, მარსელში...

მარსელში იყო მომენტი, როდესაც ფეხბურთელი ორასორმოცდაათამდე გამძვინვარებულ ქომაგს დაუსხლტებოდა თუ არა, სათუო იყო. გუნდის საქმეები ცუდად მიდიოდა.

„გულწრფელად რომ გითხრათ, მარსელში გატარებულმა დრომ პიროვნებად ჩამომაყალიბა და მასწავლა, რომ ტყუილუბრალოდ ვერაფერს მიიღებ" — იგონებს პირესი, რომელიც 2000 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულითაც გამდიდრდა. ამჯერად იგი უკვე ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრი გახლდათ.

მაგრამ როდესაც ევრო 2000-ზე ვლაპარაკობთ, ერთ ეპიზოდზე აუცილებლად უნდა შევჩერდეთ. ეს როტერდამში, ჩემპიონატის ფინალში მოხდა. მოგეხსენებათ, საფრანგეთი იტალიას ხვდებოდა და აგებდა, სანამ სილვენ ვილტორდმა მსაჯის წამატებულ წუთებში ანგარიში არ გაქვითა და საქმე დამატებით დრომდე არ მიიყვანა. სწორედ მაშინ, გადამწყვეტი შეხვედრის ყველაზე დრამატულ დროს პირესთან მარსელ დესაი მივიდა და ჰკითხა, მაგ შენს დრიბლინგობანას დამატებით დროშიც აპირებო? პირესმა თავი დაუქნია.

„კარგი, მაშ ვნახავთ, რისი შნო გაქვს" — უპასუხა დესაიმ.

„მარსელის ამ ნათქვამმა ძლიერ იმოქმედა, თან კარგადაც და ცუდადაც — ამბობს პირესი — ცუდად იმიტომ, რომ ასეთი რამ ასეთ დროს მითხრეს, კარგად კი იმიტომ, რომ როდესაც კაცი უნდობლობას ამჟღავნებს, საპირისპირო უნდა დაუმტკიცო. უნდა აჩვენო: იქ იმიტომ ხარ, რომ იმსახურებ. ერთი სიტყვით, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი, მაგრამ თამაში რომ განახლდა, ათ წუთში გაღიზიანებამ ჩემთვის სასარგებლო როლი ითამაშა. მარცხენა ფრთიდან გარღვევა წამოვიწყე, ბურთი ტრეზეგეს ჩავაწოდე, ხოლო მან დაარტყა და ჩვენ ევროპის ჩემპიონები გავხდით".

ევროპის ჩემპიონის ტიტულთან ერთად რობერ პირესი ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელიც გახდა და 2001-2002 წლების სეზონში ისე ითამაშა, რომ ინგლისის „ფეხბურთის მიმომხილველთა ასოციაციამ" წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

გაზაფხულზე კი...

გაზაფხულზე მუხლის მყესები გაუწყდა და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატს მიღმა დარჩა.

„თუმცა, ცხოვრებაში ბევრი რამ ამაზე უარესია — ამბობს პირესი — მაგალითად ის, რომ არ ვიცოდი ტრავმის მერე ფეხბურთის თამაშს ისევ თუ შევძლებდი და რა დონეზე".

მომავალში კი იგი „არსენალის" საჩემპიონო ბრძოლაში აპირებს დიდი წვლილის შეტანას. კიდევ, წინ არის ორი ინგლისური თასის, ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასების გათამაშება და, რა თქმა უნდა, ევრო 2004-ის შესარჩევი შეჯიბრება.

ევრო 2004 კი, ნუ დაგვავიწყდება, მამამისის სამშობლოში, პორტუგალიაში უნდა ჩატარდეს.

და ბოლოს: „მე თუ ბრძოლას განვაგრძობ და რამეს წარმოვადგენ, ჩემს გარშემო მყოფი ადამიანების, მეუღლის, მშობლების და მწვრთნელების დამსახურებაა. ისინი ყოველთვის მიცავენ. და კიდევ, იღბალი მწყალობს". — ამბობს პირესი.

**ბაკუნა ძიძია**



# ამხანაგური მატჩი. 12 თებერვალი

## საფრანგეთი — ჩეხეთი



დავიდ ტრეზეგე ნაკრებს დაუბრუნდა

# სანტინიმ საფრანგეთი დააქველა

**12 თებერვალს** საქართველოს ნაკრებიც კი თამაშობს ამხანაგურად და რა გასაკვირია, ფრანგებმაც ითამაშონ. ევროპის ჩემპიონთა მეტოქე ჩეხეთის ნაკრებია. თამაში პარიზის სენ დენის გარეუბანში, „სტად დე ფრანსზე" გაიმართება.

საამტჩოდ ჟაკ სანტინიმ კარგა ხანს მივიწყებულ ფეხბურთელებს — რობერ პირესს, დავიდ ტრეზეგესა და ბიქსენტ ლიზარაზუს უხმო.

არსენალელმა პირესმა, მოგეხსენებათ, ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოტოვა და საერთოდაც, მარჯვენა მუხლის გადამკიდეს, ნაკრებში 2002 წლის თებერვლის მერე არ უთამაშია. მისი ბოლო სანაკრებო შეხვედრა რუმინეთთან მოგებული (2:1) თამაში იყო.

მაგრამ ტრავმები ადრე თუ გვიან შუშდება და რაც ფეხბურთს დაუბრუნდა, 29 წლის პირესმა ინგლისურ პრემიერლიგაში 9 გოლი მიითვალა — მათ შორის, წინა უქმეებზე „ფულემისთვის" შესრულებული დუბლი.

დავიდ ტრეზეგესთვის კი ბოლო სანაკრებო მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატზე დანიასთან 0:2 წაგებულიყო. მას მერე იუვენტუსელი ფორვარდი ექვსი თვე მკურნალობდა მტკივან მუხლს. ისიცაა, რომ სანტინის ტრეზეგე ერთ ხანს ათვალწუნებულიც ჰყავდა.

ბიქსენტ ლიზარაზუს თავს კი ასეთი ამბავია: სანტინი მიუნხენში ჩავიდა, ბასკს დაელაპარაკა და ნაკრებში მიიწვია.

გამოძახებულთა შორის არის ოსერელი ყმაწვილი თავდამსხმელი ჯიბრილ სისეც, რომელმაც ტრავმის გამო საფრანგეთის ნაკრების ბოლო სამი თამაში გამოტოვა. ისე კი, სისეს გოლი გოლზე გააქვს, ამ სეზონში ბურგუნდიელებს ათი შედეგიანი დარტყმით შეეწია.

მესამე წელია, ნაკრებში არ უთამაშია „მონაკოს" გამოცდილ ნახევარმცველ ლუდოვიკ ჟიულის. მისი ბოლო გამოძახება 2000 წლის ოქტომბრით თარიღდება, როცა ფრანგები ფრეზე გაეყარნენ კამერუნს. ახლა ჟიული საჩეხეთო განაცხადშია, ისევე როგორც სოშოელი ყრმა ნახევარმცველი ბენუა პედრეტი, რომლის სანაკრებო დებიუტი შარშან ნოემბერში, იუგოსლავიასთან მატჩისას შედგა.

ერთი პირობა, საეჭვო იყო ფაბიენ ბარტეზის გამოძახება, რომელსაც კუნთი ჰქონდა ნატკენი, მაგრამ „მანჩესტერის" კარის დარაჯი დროულად მომჯობინდა, რაც ნიშნავს, რომ გრეგორი კუპეს კვლავაც მეორეობა ერგება.

**ირაკლი ნინიძე**

*მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), გრეგორი კუპე (ლიონი);*

*მცველები: მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), უილიამ გალასი (ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტ ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ფილიპ მექსეში (ოსერი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: ლუდოვიკ ჟიული (მონაკო), კლოდ მაკელელე (რეალი, ესპანეთი), ბენუა პედრეტი (სოშო), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), რობერ პირესი (არსენალი, ინგლისი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), სილვენ ვილტორდი (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი.(რეალი, ესპანეთი);*

*თავდამსხმელები: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), ჯიბრილ სისე (ოსერი), სტივ მარლე (ფულემი, ინგლისი)*

სარბიელი & კროკო
წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰანზა-კოტბუსი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 002 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 003 | ვერდერი-მიუნხენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-არმინია | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 18.30 | 005 | ლაუტერნი-გლადბახი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-შალკე | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 18.30 | 007 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 009 | ბაიერნი-ჰამბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 010 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 011 | როიტლინგენი-ბრაუნშვაიგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 012 | ბურგჰაუზენი-დუისბურგი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 22.00 | 013 | ვალდჰოფი-მაინცი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ობერჰაუზენი-უნიონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.00 | 015 | ზტ.პაული-ლიუბეკი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 18.00 | 016 | ფრაიბურგი-ალენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-აინტრახტი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 18.00 | 018 | კარლსრუე-ტრირი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **10 თებერვალი** | | | | | | |
| 23.15 | 019 | კიოლნი-ალემანია | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 16.30 | 021 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 22 | ლივერპული-მიდლსბრო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 023 | ბირმინგემი-ჩელსი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 19.00 | 024 | ბლეკბერნი-საუთჰემპტონი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 19.00 | 025 | ჩარლტონი-ევერტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 026 | ფულჰემი-ასტონ ვილა | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 027 | ლიდსი-ვესტ ჰემი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 028 | ტოტენჰემი-სანდერლენდი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 029 | ტოტენჰემი-სანდერლენდი 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 030 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 16.30 | 031 | მანჩესტერი-სიტი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 032 | მანჩესტერი-სიტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 20.05 | 033 | ნიუკასლი-არსენალი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 035 | ბრაიტონი-ვულვერჰემპტონი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,64 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 036 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 037 | გრიმსბი-სტოკი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.00 | 038 | იფსვიჩი-შეფილდი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 039 | პორტსმუთი-დერბი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 040 | პრესტონი-მილუოლი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.00 | 041 | უენსდი-ნორვიჩი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 042 | უოლსოლი-ლესტერი | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 19.00 | 043 | უოტფორდი-როტერჰემი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 19.00 | 044 | უიმბლდონი-ბრედფორდი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 21.35 | 045 | ნოტინგემი-კრისტალ პალასი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| | | **10 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 046 | რედინგი-ჯილინგემი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბრენტფორდი-კრიუ | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 053 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 054 | კარდიფი-ბარნსლი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 055 | კარდიფი-ბარნსლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 056 | ჩელტენემი-სტოკპორტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 057 | ჩესტერფილდი-პიტერბრო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 058 | მენსფილდი-ნოტსი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 059 | ნორთჰემპტონი-ქუინს პარკი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 060 | ოლდემი-პლიმუთი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 061 | პორტ ვეილი-ლუტონი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 062 | ტრანმერი-სუინდონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
1:0 იბრაჰიმოვიჩი (11)

**ტელსტარი 1:3 ჰერენვენი**

0:1 ინია (52ს.კ.), 0:2 დენბოომი (65), 1:2 დელანგე (74პ), 1:3 დენბოომი (87)

**გრააფსხაპი 2:3 უტრეხტი**

1:0, 2:0 ჰერტოგი (12, 53), 2:1 როია (74), 2:2 კუიტი (77), 2:3 იოკემსენი (81)

**ვიტესი 4:2 ბრედა**

1:0 მბამბა (33), 1:1 ვერსტეეგი (45), 2:1 იანსენი (48), 2:2 შენინგი (62), 3:2 ამოა (84), 4:2 მბამბა (90)

### 1/4 ფინალის წილისყრა

ფეიენოორდი — ვიტესი; აიაქსი — გრონინგენი; ექსელსიორი — უტრეხტი; პსვ ეინდჰოვენი — ჰერენვენი

*მატჩები გაიმართება 4-5 მარტს*

## პორტუგალია

### I ლიგა

### გადადებული მატჩი

**სპორტინგი 1:0 აკადემიკა**

1:0 ნიკულაე (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 17 | 3 | 0 | 45:16 | 54 |
| ბენფიკა | 20 | 12 | 5 | 3 | 38:15 | 41 |
| სპორტინგი | 20 | 13 | 1 | 6 | 33:22 | 40 |
| გიმარაეში | 20 | 10 | 5 | 5 | 35:24 | 35 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 10 | 2 | 8 | 32:30 | 32 |
| ლეირია | 20 | 9 | 4 | 7 | 31:27 | 31 |
| ვარზიმი | 20 | 8 | 3 | 9 | 25:24 | 27 |
| ბრაგა | 20 | 7 | 6 | 7 | 18:27 | 27 |
| ბელენენსეში | 20 | 7 | 5 | 8 | 23:27 | 26 |
| ბოავიშტა | 20 | 6 | 6 | 8 | 19:19 | 24 |
| ნასიონალი | 20 | 6 | 6 | 8 | 22:25 | 24 |
| მარიტიმუ | 20 | 7 | 2 | 11 | 24:35 | 23 |
| მორეირენსე | 20 | 5 | 7 | 8 | 22:26 | 22 |
| ფერეირა | 20 | 5 | 5 | 10 | 17:30 | 20 |
| აკადემიკა | 20 | 4 | 7 | 9 | 22:33 | 19 |
| სეტუბალი | 20 | 3 | 9 | 8 | 19:21 | 18 |
| სანტა კლარა | 20 | 3 | 7 | 10 | 22:33 | 16 |
| ბეირა მარი | 20 | 3 | 7 | 10 | 20:33 | 16 |


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2001

#### III ჯგუფი. I ტური

**ამერიკა (კოლუმბია) 1:5 სანტოსი (ბრაზილია)**

0:1 ლეო (28), 1:1 ბანგუერო (35), 1:2 ალექსი (37), 1:3 რიკარდო (67), 1:4 დიეგო (69), 1:5 რიკარდო (88)

**12 დე ოქტუბრე (პარაგვაი) 3:1 ელ ნასიონალი (ეკვადორი)**

1:0 ვარეირო (38), 2:0, 3:0 ტ. გონსალესი (45, 49), 3:1 გრუესო (75)

#### VIII ჯგუფი. I ტური

**კორინთიანსი (ბრაზილია) 1:0 კრუზ ასული (მექსიკა)**

1:0 ლეიდსონი (13)

# ეთერში სერგეი რებროვი
## ლონდონში ჰოდლმა შემავიწროვა

*სერგეი რებროვი ვლადიმირ ბესჩასტნიხს სტამბოლში შეხვდა და მათ ერთმანეთი „ფენერბაჰჩეს“ მაისურებში ნახეს. ეს წყვილი „ლურჯ- ყვითლებისთვის“ გაირჯება და ჩემპიონობის მოსურნე გუნდს გოლების გატანაში დაეხმარება. ისინი შეიძლება არც შეხვედროდნენ, თუ რებროვი ლონდონის „ტოტენჰემიდან“ იქვე, „ფულემში“ გადაბარგდებოდა, მაგრამ უკრაინელმა თურქეთი არჩია*



— თითქოს „ფულემში“ თქვენი გადასვლა უკვე გადაწყვეტილი იყო...

— სამედიცინო შემოწმება გავლილი მქონდა, მაგრამ ბოლოს ვერც კლუბები შეთანხმდნენ და არც მე მომეწონა შემოთავაზებული პირობები.

**— შარშან ზაფხულში მოსკოვის „სპარტაკიც“ შეგეხმიანათ...**

— თავიდან არ მჯეროდა, მერე კლუბის წარმომადგენელმა მითხრა, მოსკოვიდან დარეკესო, თუმც საქმე სერიოზულ განხილვამდე არ მისულა.

**— თქვენი რეაქცია როგორი იყო?**

— გამიხარდა, რადგან „სპარტაკს“ ჩემპიონთა ლიგაში უნდა ეთამაშა. თუმცა არ მესიამოვნა „სპარტაკის“ პრეზიდენტის საგაზეთო რეპლიკა იმის თაობაზე, თითქოს ბოლო მომენტში უარის თქმით თავი დავიფასე. კლუბები ვერ მორიგდნენ და მე რა შუაში ვარ?

**— ახალ გუნდს შეეჩვიეთ?**

— „ფენერბაჰჩეში“ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მომცეს და ეს ჩემთვის მთავარია. მე ფეხბურთის თამაში მსურს.

**— პრემიერლიგასა და თურქეთის ჩემპიონატს შორის ალბათ, გვარიანი სხვაობაა...**

— სულაც არა. თურქული ლიგა საკმაოდ მაღალ დონეზეა და ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობსოთუნდაც „ფენერბაჰჩე“—„ბეშიქთაშის“ ბოლო მატჩი გავიხსენოთ.

**— ის მატჩი „ფენერბაჰჩემ“ წააგო, თქვენ და ბესჩასტნიხს არც გითამაშიათ.**

— პირველი წრის გადადებული შეხვედრა იყო და განაცხადში ჩვენი შეყვანის უფლება არ ჰქონდათ. „ფენერმა“ კარგად ითამაშა და მარცხსაც არ იმსახურებდა. მეტოქეს ხეირიანი საგოლე მომენტიც არ შეუქმნია. მათ უბრალოდ გაუმართლათ.

**— წელიწადნახევრის შემდეგ სტამბოლში ყოფნის ვადა რომ ამოიწურება, ისევ „ტოტენჰემს“ დაუბრუნდებით?**

— ჯერჯერობით ისევ ლონდონურ კლუბს ვეკუთვნი და სტამბოლიდან ინგლისში სიამოვნებით გავემგზავრები. ქომაგებთან, ხელმძღვანელებთან და ძველ მწვრთნელთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა. პრობლემა ახალი მწვრთნელი, გლენ ჰოდლია, რომლის გამოც ვარ ახლა თურქეთში. არც იმას გამოვრიცხავ, რომ აქ დავრჩე. ჩემი კონტრაქტის გახანგრძლივებაც შესაძლებელია.

**— დავუშვათ, „ფენერბაჰჩე“ უეფას თასზე „ტოტენჰემს“ გადაეყარა...**

— გარწმუნებთ, შურისძიებაზე არ ვფიქრობ. ახლა მხოლოდ მომავალი მატჩები და ჩემი ფორმა მაღარდებს.

**— მოედანზე ბესჩასტნიხს როგორ შეეწყვეთ?**

— ის კარგი ფეხბურთელია და მასთან თამაში ჩემთვის საინტერესოა. თან, ჩვენ ხომ ერთი სკოლა გვაქვს გავლილი. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს გავუგებთ. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ გუნდთან ერთად, მერე კი ვრჩებით და ინდივიდუალურად ვემზადებით.

**— ცნობილია, რომ რადიომოყვარული ხართ. ლონდონიდან თუ წამოიღეთ თქვენი აპარატურა?**

— ლონდონში სახლი მაქვს და ყველაფერი იქ დავტოვე. აქაც ვნახე „ჩემნაირები“ და ვფიქრობ, არ მოვიწყენთ.

# ფულის ფაფა: ფიფა-უეფა

**2000 წელს** ბრაზილიაში მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატი რომ გაიმართა, ეგებ, არც გახსოვდეთ. ამ იდეის ავტორები ფიფელები იყვნენ. მათვე სურდათ 2001-ში მსგავსი ჩემპიონატის ჩატარება, მაგრამ ეს საქმე ფინანსურად წამგებიანი გამოდგა და თან ორგანიზატორებს სპონსორებმაც უგანეს. მოკლედ, იდეა ჩავლავდა.



გერჰარდ აიგნერი

ფიფამ კვლავ მოინდომა საკლუბო ჩემპიონატის აღდგენა და ჩინოვნიკები ისევ ალაქლაქდნენ. მათი არგუმენტი ძალიან სუსტია. ვითომ სხვადასხვა კონტინენტზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ და მადრიდის „რეალის“ თამაშის ნახვით რომ დატკბნენ, ურიგო არ იქნებაო.

აქ საქმეში ფეხბურთის ევროპული ორგანიზაცია ჩაერია და ლენარტ იუჰანსონმა ამოღერღა: „ეს აბსურდული ტურნირია. არავის არაფერში არგია. ევროპის კლუბთა აბსოლუტური უმრავლესობა საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების წინააღმდეგია. აბა, რა ლოგიკას ექვემდებარება ის, რომ ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, გუნდებს სეზონში გასამართი მატჩების რაოდენობა შევუმციროთ, ამ დროს კი ფიფა მათ გაზრდაზე ზრუნავს. ფეხბურთელები გადაიღალნენ, დასვენება სჭირდებათ და არა ზედმეტი ტურნირი. ეს კი არა, უკვე გადავწყვიტეთ, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგის ფორმატი შევცვალოთ. მეორე ჯგუფური ეტაპი გავაუქმეთ და ახლა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის დროა?“

უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა ბოლო დროს წამოტივტივებულ „ოქროს ლიგაზეც“ ჩააკომენტარა: „G14-ის მიერ „ოქროს ლიგის“ შესაძლო შექმნის გამო აურზაურის ატეხვა არც ღირს. დღეს მსგავსი ლიგების შესაქმნელად მოთხოვნა არ არსებობს. ისინი საფეხბურთო ბაზარზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქონელს ვერ გაასაღებენ“.

მიუხედავად იმისა, რომ მავანი მილიარდერები ბობოლა კლუბების მოთაფვლას ცდილობენ, უეფა თითქოს არხეინად არის და ჩემპიონთა ლიგის დაშლას წარმოუდგენლად მიიჩნევს. ფიფამ კი ისევ აიტეხა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2005 წლიდან უნდა განვაახლოთო. ყველა თავისკენ ექაჩება ევროპულ კლუბებს და ამ გაწამაწიას ოდესღაც ბოლო თუ არ მოეღო, ნამდვილად ფაფა გამოვა.

კიდევ, ჩემპიონთა ლიგის სპონსორი ისევ „ამსტელი“ იქნება და მომდევნო სამი წლის განმავლობაში უეფას იმდენივე თანხას ჩააზუტებს, რამდენსაც აქამდე უხდიდა.

**გაჟა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელმა** ახალგაზრდა ნახევარმცველმა კაკამ ადგილობრივ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ზაფხულიდან მადრიდის „რეალში“ ითამაშებს. „რეალი“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს მადრიდში გადასვლაზე“ — ამბობს ფეხბურთელი. ბრაზილიური მასმედიაც შესაძლო ტრანსფერზე ალაპარაკდა, მაგრამ ესპანელები არაფერს ამბობენ.

**ესპანელი ნახევარმცველი ივან დე ლა პენია თავის ყოფილ კლუბ რომის „ლაციოს“ კუთვნილ ჯამაგირს სთხოვს და სასამართლოში სარჩელის შეტანით ემუქრება. დე ლა პენია ახლა ბარსელონის „ესპანიოლის“ წევრია, რომაელებმა სერჯო კრანიოტის პრეზიდენტობისას კონტრაქტი თავად დაურღვიეს ფეხბურთელს. თუ სასამართლომ თავხოტორა „ბუდას“ (დე ლა პენიას მეტსახელია) სარჩელი დააკმაყოფილა, იგი 3 მილიონი ევროთი გაისქელებს ჯიბეს.**

**ხორვატმა** რობერტ პროსინეჩკიმ პროფესია შეიცვალა — საფეხბურთო კარიერა დაასრულა თუ არა, ჟურნალისტობას მიჰყო ხელი. გუშინდელ ხორვატულ საფეხბურთო ჟურნალ „რეკორდში“ მისი ინტერვიუ დაიბეჭდა. პროსინეჩკის რესპოდენტი ხორვატიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, სახელიანი და ტიტულიანი მიროსლავ ბლაჟევიჩი გახლდათ. „ეს სფერო ყოველთვის მიზიდავდა“ — ლაკონიურია პროსინეჩკი. საგულისხმო კი ის გახლავთ, რომ ჟურნალ „რეკორდმა“, რომლის გამომცემელიც... რობერტ პროსინეჩკია, დღის სინათლე სწორედ გუშინ იხილა.

**იტალიურმა „კომომ“ 34 წლის ურუგვაელ თავდამსხმელ დანიელ ფონსეკას, მისივე თხოვნით, კონტრაქტი დაურღვია. „კალიარის“, „ნაპოლის“, „რომას“ და „იუვენტუსის“ ყოფილმა ფორვარდმა სერია A -ს დებიუტანტებთან ხელშეკრულება სამი თვის წინ გააფორმა, თუმც იტალიურ ლიგაში 74 გოლის გამტანმა ფონსეკამ მწვრთნელ ეუჯენიო ფაშეტის ნდობა ვერ გაამართლა. „კომომ“ ზამთრის სატრანსფერო სეზონში ორი თავდამსხმელი გადაიბირა — ნიკოლა ამორუზო და ლუიჯი ანკლერიო. როგორც ჩანს, ფონსეკამ კონკურენციას ვერ გაუძლო და მარად სათადარიგოდ ყოფნის ვარიანტმა გუნდიდან წასვლა აფიქრებინა.**

**ესპანელმა** ხოსე მარია გუტიერესმა, იგივე გუტიმ, მადრიდის „რეალის“ დატოვების სურვილი გამოთქვა. მან ისიც გაამხილა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა ინგლისში, კერძოდ, ლონდონის „არსენალში“. მადრიდული კლუბის თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე ბოლო მატჩებში აშკარად არ სწყალობს ამ ქერა ფეხბურთელს, მეტიც, გუტი „რეალის“ ბოლო ორ შეხვედრაში განაცხადშიაც კი არ შეუყვანია. „მე ფეხბურთის თამაში მწყურია, სათადარიგოობას ვერაფრით შევეგუები, მიმძიმს, მაგრამ „რეალი“ უნდა დავტოვო. ეტყობა, დელ ბოსკეს არ ვჭირდები“ — ამბობს გუტი. თავად მწვრთნელის კომენტარი უცნობია.

**იტალიურმა „ინტერმა“ უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მილანელები ბერძნული „პანათინაიკოსისგან“ ჰავბეკ გიორგიოს კარაგუნისის შეძენას აპირებდნენ. „ინტერის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელ ბრუნო ბარტოლოცის თქმით, მათ ბერძნებთან არავითარი კონტაქტი არ ჰქონიათ, მეტიც, ექტორ რაულ კუპერს ასეთი რამ არც უფიქრია.**

**ინგლისური** „საუთჰემპტონის“ თავდამსხმელმა ჯეიმს ბიტიმ „წმინდანებთან“ ახალი ხელშეკრულება გააფორმა. 24 წლის ფეხბურთელი კლუბში 2006 წლის ივნისამდე დარჩება. ჯეიმს ბიტი წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს, მიმდინარე პრემიერლიგაში იგი 16 გატანილი გოლით ჯერჯერობით მეორე ბომბარდირია ტიერი ანრის შემდეგ.

**იტალიელი ღვაწლმოსილი მწვრთნელი, 65 წლის კარლო მაცონე თუ ზაფხულში „რომას“ მწვრთნელად დაინიშნა, რომაულ კლუბში იტალიური ფეხბურთის ჯერაც ჩაუმქრალი ვარსკვლავი რობერტო ბაჯო ითამაშებს. არახალია, „რომას“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო ზაფხულიდან გუნდის დატოვებას ეშურება, კლუბის პრეზიდენტ ფრანკო სენსისაც მაცონე შეუგულებია, რომში დაბრუნების წინააღმდეგი არც დედაქალაქელი კარლიტოა. „მაცონე რომში ბრუნდება? ესე იგი, მეც „რომაში“ ვითამაშებ“ — აღფრთოვანებულა 35 წლის ბუდისტი, რომელსაც „ბრეშამდე“ „ფიორენტინაში“, „იუვენტუსში“, „მილანში“, „ბოლონიაში“ და „ინტერში“ უბურთავია.**

**დანიელი** მეკარე პიტერ შმაიხელი ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და გამალებული ემზადება საკვირაო დერბისთვის. 39 წლი ლეგენდარული მეკარე ახლა „მანჩესტერ სიტიში“ თამაშობს, „სიტი“ კი კვირას „ოლდ ტრეფორდზე“ „იუნაიტედს“ დაეჯახება. „ვერ წარმოიდგენთ, ახლა რასაც ვგრძნობ და როგორი დამუხტულიც ვარ, მე ხომ „ოლდ ტრეფორდზე“ ვბრუნდები, სტადიონზე სადაც, საუკეთესო წლები გამიტარებია. „იუნაიტედი“ ჩემი სიამაყეა, თუმც მე ახლა „სიტის“ გოლკიპერი ვარ. ბოლოს და ბოლოს დერბია და მოტივაციისთვის ესეც კმარა“ — პიტერ შმაიხელი ნოსტალგიას შეუპყრია.

**იტალიურ „მილანს“ ივნისიდან კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი ეყოლება. ნასიმენტუ დე არაუიო, იგივე ლეონარდო ზაფხულში ფეხბურთს გამოემშვიდობება და საქმიანობას კაბინეტში გააგრძელებს. გადაწყვეტილება თავად სილვიო ბერლუსკონის მიუღია, ადრიანო გალიანის სამუშაო რომ შეუმსუბუქდეს, ლეონარდო ჩინებული კანდიდატურააო. ბრაზილიელი, რომელიც „მილანს“ სულ რაღაც სამი თვეა, რაც დაუბრუნდა, წუხელ პერუჯაში გახლდათ. „როსონერი“ იტალიის თასის ნახევარფინალურ პირველ მატჩში „რენატო კურიზე“ სერსე კოზმის „პერუჯას“ სტუმრობდა.**


**სამკურნალო გაერთიანება**

**„ლიგა“**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15




Name: **PACHULIA ZAUR**
Number: 7
Height: 210
**Nationality: Turkey**
Position: Center

# სადაური წესია და აქაური!
## თურქები თავისას წერენ, ფაჩულია თავისას ამბობს

*შარშან ზაფხულს წინასადრაფტო ვარჯიშებზე ნამყოფმა ზაზა ფაჩულიამ თქვა, ამ სეზონსაც დავრჩები „ულქერში", გამოცდილებას დავიგროვებ და მომავალ დრაფტში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობასო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფაჩულია ბჭობდა, თურქები კი იცინოდნენ.*

*თოლგა ონგორენის „ულქერი", დიდინისეულზე უმოწყალო გამოდგა ქართველისთვის. კლუბში სეზონის წინ მისული ონგორენი მთლიანად გამოცდილ კალათბურთელებზე გადაერთო და ახალგაზრდები დაივიწყა. არადა, როცა ფაჩულიასთვის შანსი მიუცია, ზაზას თავი არასდროს შეურცხვენია.*

*სტამბოლურ კლუბში ჩვენებურის დაულხენელ ყოფას ტრავმაც დაერთო. ფაჩულიამ იტალიურ „კინდერთან" საევროლიგო მატჩისწინა ვარჯიშზე თითი მოიტეხა და, როგორც ოპერაციის შემდეგ ექიმები ეუბნებიან, ათ დღეში შეძლებს ბურთაობას. სხვათა შორის ფაჩულიას ჩვენებურად კი მოვიხსენიებთ, მაგრამ თურმე მას თურქებიც იჩემებენ, — ზაზა ლეგიონერად არ მიაჩნიათ და ევროლიგის საიტშიც მისი ეროვნების გრაფაში „თურქი" ჩაუწერიათ...*

— რაიმე ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს. რადგან 5 წელია სტამბოლში ვცხოვრობ, თურქები თავისიანად მთვლიან. ასე ვთქვათ, სპორტულ მოქალაქედ მიმიჩნევენ.

**— შენ დაუკითხავად?**

— არაფერს ვკარგავ, მათ არანაირი უფლება არ აქვთ, საქართველოს ნაკრებში თამაში ამიკრძალონ, უბრალოდ, ლეგიონერად არ ვითვლები „ულქერში". ერთი მხრივ ეს კარგიცაა, რადგან უცხოელებზე, სხვა ქვეყნებისა არ იყოს, აქაც ლიმიტია და იმის გათვალისწინებით, რომ „ულქერს" ბევრი ლეგიონერი ჰყავს, შესაძლებელი იყო, განაცხადში ვერ მოვხვედრილიყავი.

**— თურქები ცნობილნი არიან მაქინაციებით და შესაძლოა, მომავალში რამეზე მოგედავონ...**

— შანსი არაა, საქართველოს ნაკრებში უკვე ვითამაშე და ძალიანაც რომ ეცადონ, ვერაფერს გახდებიან. მათ იციან ჩემი პოზიცია, საქართველოს გარდა არც ერთ ნაკრებში არ ვითამაშებ.

**— ეგებ განაცხადში ვერ მოვხვედრილიყავიო, თქვი, არადა, ზაფხულში იმ იმედით იუარე ნბა-ს დრაფტში მონაწილეობა, რომ „ულქერში" კლასს აიმაღლებდი და ამერიკაში უფრო მომზადებული ჩახვიდოდი...**

— ასე მეგონა, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. ამ სეზონში წინანდელზე ნაკლებს ვთამაშობ და ალბათ წლეულსაც უარს ვიტყვი დრაფტზე. არა იმიტომ, რომ ცუდ ფორმაში ვარ, პირიქით, საკმარისად მოვუმატე, მაგრამ ამერიკელები ხშირ შემთხვევაში შედეგებს აქცევენ ყურადღებას, მე კი მოედანზე იშვიათად გავდივარ.

**— თუ კარგ ფორმაში ხარ, რატომ არ გათამაშებენ?**

— სწორედ რომ არ მათამაშებენ, თორემ როცა შანსი მოუციათ, ყოველთვის სასარგებლო ვყოფილვარ. პირველ რიგში ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ჩემს პოზიციაზე ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი, ჯოზეფ ბლერი თამაშობს. იგი წლეულს ევროლიგის საუკეთესო მოთამაშედ გახდომის რეალური კანდიდატია. ისე კი, ჩვენი მწვრთნელი თოლგა ონგორენი გამოცდილებს უფრო ენდობა. არა მარტო მე, „ულქერის" ყველა ახალგაზრდა ამ სეზონში უფრო ნაკლებს ვთამაშობთ, ვიდრე უწინ.

**— მაშ, შენი აზრით, რას გიპირებენ თურქები? „სარბიელთან" საუბარში ონგორენმა თქვა, ფაჩულია „ულქერს" სჭირდებაო...**

— დასჭირდება ხუთი წლის შემდეგ, როცა 24 წლის გამოცდილი და ზრდასრული კალათბურთელი ვიქნები. ალბათ მაშინ მათამაშებენ საკმარისად.

**— და ასეთ ვითარებაში „ულქერთან" შენი კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება...**

— ჰოდა, წავალ, მაგრამ სად, ამის თქმა ჯერ მიჭირს. როგორც ვიცი, ჩემით ბევრი კლუბია დაინტერესებული, მაგრამ კონკრეტულად ჯერ არავინ შემომხმიანებია. ამაზე ახლა არც ვფიქრობ. რაც უნდა მოხდეს, ივნისის ბოლომდე და სხვა გუნდებზე ფიქრს მიჯობს, მაქსიმალურად მოვემზადო, საზაფხულოდ უკეთეს ფორმაში რომ ვიყო.

**— თითის მოტეხვა პრობლემებს ხომ არ შეგიქმნის?**

— არა მგონია. ოპერაცია შაბათს გავიკეთე. თითში ახლა რკინა მიდევს, რათა ძვალი უკეთ შეიხორცდეს რკინა მიდევს. 10 დღეში ამომიღებენ, როგორც ექიმები მეუბნებიან, ორიოდ დღეში შემეძლება ბურთით ვარჯიში. ახლა ფიზიკურად ვემზადები.

**ირაკლი ბერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

5 თებერვალი

**მაიამი 87:101 პორტლენდი**

**მაიამი:** ბუსტი (11), ჯონსი (20), კ. ბატლერი (10), ალენი (10), გრანტი (8 ქულა, 10 მოხსნა); ბოუსი (18), ჯეიმსი (4), ელისი (4), რ. ბატლერი (2), სტეფანია (8 წუთი, 2 მოხსნა)

**პორტლენდი:** ანდერსონი (16), პიპენი (26), უელსი (12), უოლესი (22), დევისი (8); მაკინისი (8), პატერსონი (6), საბონისი (2), სტუდემაიერი (2), რენდოლფი

**ბოსტონი 114:74 სიეტლი**

**ბოსტონი:** პირსი (24), დელკი (22)

**სიეტლი:** ლუისი (16)

**კლივლენდი 106:102 ჰიუსტონი**

**კლივლენდი:** დევისი (21 ქულა, 10 პასი), ილგაუსკასი (20)

**ჰიუსტონი:** ტეილორი (30), მობლი (19)

**დეტროიტი 89:80 კლიპერსი**

**დეტროიტი:** ოქური (19 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (17)

**კლიპერსი:** ბრენდი (18)

**ფილადელფია 85:111 ნიუ ჯერსი**

**ფილადელფია:** აივერსონი (28), ვან ჰორნი (16)

**ნიუ ჯერსი:** კიტლზი (36)

**ნიუ ორლეანი 108:84 საკრამენტო**

**ნიუ ორლეანი:** მაშბურნი (26), ვესლი (17)

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (20), ჯ. ჯექსონი (19)

**იუტა 105:84 მემფისი**

**იუტა:** მელოუნი (31), სტოქტონი (10 ქულა, 11 პასი)

**მემფისი:** გირიჩეკი (17), რაიტი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 99:103 სან ანტონიო**

**გოლდენ სტეიტი:** არენასი (28)

**სან ანტონიო:** დანკანი (30 ქულა, 12 მოხსნა), პარკერი (21 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

# სალოლ, მეჰმედ!
## დეტროიტის თურქმა იბენვოლესა

პატ რაილი ისევ წაეკიდა მსაჯებს. ჩანს, „მაიამის" მწვრთნელზე ვერ მოახდინა დამაწყნარებელი ზემოქმედება ადრესეზონში მსაჯებთან შეხლამ და ამის გამო 50 000 დოლარით დაჯარიმება. დიდი პატის შფოთვის მიზეზი ამჯერადაც მსაჯთა დაუნახაობა იყო. რაილის აზრით, ისინი განზრახ ხუჭავდნენ თვალს მეტოქის უხეშობებზე და შეგნებულად არ აძლევდნენ მაიამელებს „კუთვნილი" საჯარიმო სროლების ნებას. „მიჭირს ამ მოვლენისთვის ზუსტი სახელის გამოძებნა. ეს კომედიაცაა და ტრაგედიაც და საშინელებაც ისაა, რომ რამდენიმე წელი გრძელდება. ისინი (მსაჯები) ისე ხუმრობდნენ და ლაზღანდარობდნენ პორტლენდელებთან, ერთმანეთის ძმაკაცები გეგონებოდათ. რბილად რომ ვთქვათ, ეს იყო არასერიოზული დამოკიდებულება საქმისადმი და, სამწუხაროდ, ამან სერიოზული შედეგი გამოიღო — ჩვენ ვესროლეთ მხოლოდ შვიდი საჯარიმო „პორტლენდის" 32 საჯარიმოს პირისპირ. ამხელა ფორას ნებისმიერი გუნდი გამოიყენებს" — ბობოქრობდა რაილი.

ყურადღების ცენტრში მოექცა რაილის ასისტენტი და მარჯვენა ხელი სტენ ვან განდიც, რომელმაც დასაშვებზე ხმამაღალი კომენტარებისა და მსაჯთა „შეგონებებისთვის" მატჩის დამთავრებამდე წუთით ადრე (როცა „მაიამის" უკვე წაგებული ჰქონდა თამაში) არბიტრებს ტექნიკური დასტყუა. ასისტენტს გამოექომაგა რაილი, მაგრამ მსაჯმა მას ისე უღრიალა ქანდარაზე, 10-დოლარიან ადგილებზე მსხდომიც მკაფიოდ გაიგებდა — „წადი და ტელევიზიაში ყველას დასანახად იტირე, თუ როგორ ცუდად გექცევიან მსაჯები!" რაილიც წავიდა და „იტირა".

„მაიამის" მსაჯთაგან ტანჯულ მწვრთნელს დაუპირისპირდა მისი გუნდის მძლეველი „პორტლენდის" ლიდერი სკოტი პიპენი: „საჯარიმოებს გამომუშავება უნდა, ისე არავინ გაჩუქებს. ეგენი (მაიამელები) ფარქვეშეთის ვიწროებს გაურბოდნენ და შორ-შორ გვივლიდნენ, პერიმეტრიდან სროლებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ ვერც იქიდან აგდებდნენ, ჩვენ კი გიჟები კი არა ვართ, საჯარიმოები ვაჩუქოთ." სხვათა შორის, მხცოვანმა პიპენმა მარტომ გამოიმუშავა შვიდი საჯარიმო, იმდენი, რამდენიც მთელმა „მაიამიმ". მთლიანობაშიც პიპენმა 26 ქულა ჩაუგდო ჯოვა სტეფანიას გუნდს, ერთით მეტი, ვიდრე ასევე ფლორიდულ გუნდ „ორლანდოს" წინა დღით და მიმდინარე სეზონის პირადსარეკორდო თამასაც ოდნავ აწია.

„ბოსტონ სელტიქსს" შინ შემოეფცქვნა დაძაბუნებული „სიეტლ სუპერსონიქსი". „კელტებმა", რომელთაც ლიდერი გერი პეიტონი ცუდ ფორმაში ჰყავთ, 40-ქულიანი მარცხით შეარცხვინეს სტუმრები. უფრო მასშტაბურ გამარჯვებასაც ესწრაფოდნენ, რაკი ამ დღეებში შინ 52 ქულით „დეტროიტთან" წააგეს და შელახული რეპუტაციის აღსადგენად ახლა იკლავენ თავს.

„ბოსტონის" ბოსტონშივე გამათახსირებელმა „დეტროიტმა" კი მორიგი გამარჯვება ჩაიწერა, შინ „კლიპერსს" მოუგო და დამაჯერებლადაც, თუმც მთავარი მეფარე ბენ ვოლესი აკლდა. ბენს დედა გარდაცვლია და სასწრაფოდ გაფრენილა შინ, ალაბამას შტატში. ის შაბათს დაკრძალავს მშობელს და ერთ დღეში ატლანტაში გადაფრინდება, რათა კვირას „ყველა ვარსკვლავის" შოუმატჩში აღმოსავლელ „კაშკაშებში" თავისი ადგილი დაიჭიროს.

ვოლერის არყოფნაში კი „დეტროიტის" ხუთეულში თურქმა ახალბედამ მეჰმედ ოქურმა ითამაშა და შესანიშნავადაც. ოქურის საშუალო შედეგიანობა ამ მატჩამდე მხოლოდ 5,1 ქულას და 4,0 მოხსნას შეადგენდა, „კლიპერსს" კი თურქმა 19 ქულა ჩაუგდო, 11 ბურთი მოუხსნა და ორჯერაც სტუმართა ნასროლი უკუაგდო. სალოლ, მეჰმედ!

ნიუ ორლეანში დამარცხდა წინა დღეს „დალასთან" ნაომარი „საკრამენტო კინგზი". „მეფეებისთვის" ეს იყო მეექვსე მარცხი ბოლო რვა შეხვედრაში. ოკეანგაღმიდან იწერებიან, ამ ლაზათიანი გუნდის ჩავარდნა დროებითია და გადატვირთული კალენდრის და ტრავმათა ქარიშხლის ბრალიაო.

**ირაკლი ფირცხალავა**




სკოტი პიპენმა რეტროსპექტივა მოიწყო




მსაჯებსა და პატ რაილის შორის დიდი შუღლი ხმოვარდა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 34 | 15 | 69,4 |
| ბოსტონი | 27 | 22 | 55,1 |
| ფილადელფია | 25 | 24 | 51,0 |
| ვაშინგტონი | 24 | 25 | 49,0 |
| ორლანდო | 24 | 26 | 48,0 |
| ნიუ იორკი | 21 | 26 | 44,7 |
| მაიამი | 17 | 32 | 34,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 34 | 15 | 69,4 |
| დეტროიტი | 32 | 15 | 68,1 |
| მილუოკი | 24 | 23 | 51,1 |
| ნიუ ორლეანი | 26 | 24 | 52,0 |
| ატლანტა | 19 | 30 | 38,8 |
| ჩიკაგო | 17 | 32 | 34,7 |
| ტორონტო | 14 | 34 | 29,2 |
| კლივლენდი | 10 | 40 | 20,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 38 | 10 | 79,2 |
| სან ანტონიო | 32 | 16 | 66,7 |
| მინესოტა | 29 | 20 | 59,2 |
| იუტა | 29 | 20 | 59,2 |
| ჰიუსტონი | 26 | 22 | 54,2 |
| მემფისი | 13 | 35 | 27,1 |
| დენვერი | 12 | 36 | 25,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 34 | 17 | 66,7 |
| პორტლენდი | 32 | 16 | 66,7 |
| ფინიქსი | 29 | 21 | 58,0 |
| ლეიკერსი | 23 | 23 | 50,0 |
| სიეტლი | 21 | 26 | 44,7 |
| გოლდენ სტეიტი | 21 | 27 | 43,8 |
| კლიპერსი | 17 | 32 | 34,7 |

## საქართველოს თასი 2003
### რუსთავი. 3-8 თებერვალი

**ბასკო 120:84 მაკაბი**

თასის მეოთხე ნახევარფინალისტი გუშინ „ბასკო" — „მაკაბის" მატჩმა გამოავლინა. ბათუმელებმა იოლად სძლიეს თბილისელებს და წინა დღით ჯგუფიდან გასულ „აზოტს", „დინამოსა" და სტუ-ს შეუერთდნენ. მაშ ასე, დღეს რუსთავის „ქიმიკოსთა" დარბაზში 14 საათზე ნახევარფინალში „ბასკო" და სტუ შეებმებიან, 16 საათზე კი „დინამო" და „აზოტი".


მირიამ კაზანოვა

# მირიამ კაზანოვამ ქვავს ოთხი კაკალი გააგდებინა

### OPEN GAZ DE FRANCE

**პარიზი. ჰარდი**

**საპრიზო 585 ათასი $**

**პირველი წრე**

**სტეფანი ფორე** (საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:2, 5:7, 7:5; **ჯანეტ ჰუსაროვა** (სლოვაკეთი) — გრეტა არნი (გერმანია) 1:6, 6:2, 6:0; **ემილი ლუა** (საფრანგეთი) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:3, 6:2

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) 6:0, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (2, სლოვაკეთი) — მაია მატევზიჩი (სლოვენია) 6:3, 6:3; **მაგი სერნა** (ესპანეთი) — სტეფანი კოან ალორო (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:7 (2:7), 6:3

სერენა უილიამსს პარიზთან კარგი მოგონებები აკავშირებს. სხვა თუ არაფერი, კარიერის პირველი ტიტული მან სწორედ იქ, კუბერტენის დარბაზში მოიგო.

ეს ამბავი ოთხი წლის წინ მოხდა. მაშინ სერენა 17 წლის ცუგრუმელა იყო და ჯერ მხოლოდ პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა.

ახლა კი ის უკვე ქალთა ჩოგბურთის ფაშფაშა ლიდერია და კორტზე ისე მძვინვარედ ირჯება, როგორც ათას ქარაფზე გადამხტარი შეშლილი ჯიქი...

მორიგი ტიტულისკენ სვლა მან იმ დღეს ბუთხუზა შვეიცარიელის, მირიამ კაზანოვას ძლევით დაიწყო. 17 წლის მირიამი ერთი გოჭუნა ვინმეა და ნუგეშად ისიც ეყოფა, ზედიზედ ოთხი სლემტურნირის მასზე უმცროს შავდას ოთხი გეიმი რომ გააგდებინა.

„სლემტიტულის მოგების შემდეგ მატჩის მოგება ძალიან ძნელია — ამბობდა სერენა — ხოლო კიდევ უფრო ძნელდება, როცა ოთხი სლემტიტულის მერე თამაშობ".

შეგახსენებთ, რომ ზეპური მარაქიდან სერენას გვერდით მხოლოდ დანიელა ჰანტუხოვა (2), საზარდულმტკივანი ამელი მორესმო (3) და მენტალურად აჭრილი ელენა დოკიჩი (4) ჩოგნაობენ. ამათგან სერენასთვის ჩოგნის შემბრუნებელი გრძელფეხება სლოვაკი თუ ჩანს. ჩვენც მათი ფინალის მოლოდინში უნდა ვიყოთ.


სერენა უილიამსი

### INDIAN OPEN

**ჰაიდარაბადი. ჰარდი**

**საპრიზო 140 ათასი $**

**მეორე წრე**

**ტამარინე ტანასუგარნი** (2, ტაილანდი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:3, 6:3; **მარი პირსი** (4, საფრანგეთი) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:1, 6:3; **იროდა ტულიაგანოვა** (5, უზბეკეთი) — საორი ობატა (იაპონია) 7:5, 6:3; **ფლავია პენეტა** (იტალია) — კრისტინა ტორენს ვალერო (6, ესპანეთი) 6:2, 6:0; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — ანჯელიკ ვიჯაჯა (7, ინდონეზია) 5:7, 7:5, 6:3

ჰაიდარაბადის სადებიუტო ტურნირმა იმ დღეს კიდევ ორი განთესილი მოისაკლისა — ესპანელი ტორენს ვალერო (6) უსახელო იტალიელ ფლავია პანეტას შეეწირა, ანჯელიკ ვიჯაჯამ კი ნორჩ რუსგოგო კირილენკოსთან დათმო. სამაგიეროდ, კვლავ არ დაედებოდა წუნი ორგზის მესლემტიტულე მარი პირსის გარჯას — მან ოზი დომინიკოვიჩი დაჯაბნა.

მეოთხედფინალში პირსს ტამარინე ტანასუგარნი და უზბეკხათუნი ტულიაგანოვაც მიჰყვნენ. გადამწყვეტ შეხლებსაც სწორედ მათ შორის ვარაუდობენ.

*ამ პარასკევ-უქმეებზე მსოფლიოს ზეპური დევისნაკრებები ერთმანეთს სამერველფინალებოდ შეეყრებიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ ბობოლა გუნდში ტრავმიანობაა, ფიცხელ ბრძოლებს არა მარტო თანაბარი კლასის ნაკრებებს შორის უნდა ველოდოთ*

*დაშავებულთა ამქარს მარატ საფინი, მსოფლიოს რანგით მესამე მეჩოგნე და რუსთა შარშანდელი გამარჯვების უმთავრესი შემოქმედი მეთაურობს. ზორბა სკვითმუსლიმი თავისიანებს ავსტრალიის ღია პირველობაზე დაშავებული მაჯის გამო ვერ დაეხმარება.*

# დევისამზეზი
## ამას ის არა ჰყავს, იმას ეს...

რუსთა კაპიტანი შამილ ტარპიშჩევი თვლის, რომ უსაფინოდ ისინი წყვილის აუტსაიდერები არიან.

საფინის არყოფნისას ოსტრავაში ჩასულ რუსულ დრუჟინას მიხაილ იუჟნი, ფრანგებთან შარშანდელ ფინალში გადამწყვეტი მატჩის მომგები ჭაბუკი უყოჩებს. მის გვერდით იქნებიან შებერებული ევგენი კაფელნიკოვი, ვინაც მხოლოდ წყვილად გაირჯება, ნიკოლაი დავიდენკო და იგორ ანდრეევი.

მასპინძელთაგან ირჟი ნოვაკი, რადეკ სტეპანეკი, მარტინ დამი და სირილ სუკი ითამაშებენ. თუკი უკანასკნელთა სახელები არაფერს გვეუბნება, გამოცდილი ირჟი ნოვაკისა და ამ ბოლო დროს მძლავრად აგლაჯუნებული სტეპანეკის იმედზე ნაღდად უნდა ვიყოთ.

მელბურნშივე დაიშავა მაჯა უნიჭიერესმა ამერიკელმა ყრმა ენდი როდიკმა, ვის მაგივრადაც ზაგრებში ჩასული ამერიკელების გაძღოლას მისი დოსტი ჯეიმს ბლეიკი, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალისტი ეცდება. მას მარდი ფიში, ტეილორ დენტი და რობი ჯინეპრი შეეხიდებიან — ამათგან არც ერთი 21 წელზე მეტის არ არის, ხოლო დევისგამოცდილებას მხოლოდ ფიში მოიძევს, ვისაც შარშან აქა-იქ წყვილად უჩოგნავია.

მაგრამ მათი კაპიტანი პატრიკ მაკინროი იხტიბარს არ იტეხს: „ვიცით, რომ მძიმე შეხლა გველის. ეს შეხლა იმ შემთხვევაშიც მძიმე იქნებოდა, აქ რომ ენდი გვყოლოდა. მაგრამ მე მაინც იმედიანად ვარ — გუნდში თავს ყველა კარგად გრძნობს და საომრადაა შემართული."

ამერიკელებს სამნი — ივან ლიუბიჩიჩი, მარიო ანჩიჩი და ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უთამაშებელი გორან ივანიშევიჩი დაუპირისპირდებიან. ყოფილი მეუიმბლდონე ივანიშევიჩი მხოლოდ ჯუფთად გამოვა — ლიუბიჩიჩთან ერთად ის ბლეიკისა და ფიშის წყვილს დასცხებს.

ხორვატთა მწვრთნელი ნიკა პილიჩი ამბობს, რომ გორანის მონაწილეობასთან ერთად მათი შანსები ერთი-ორად იზრდება. „ჩვენ სწრაფი საფარი შევარჩიეთ, რაიც გორანის დარ ხათქუნა მომწოდებელთათვის დიდი შეღავათია. ეგეც არ იყოს — ბიჭებისთვის მარტო მისი გვერდით დგომაც კი ერთ რამედ ეღირება."

შეგახსენებთ, რომ თასის 103-წლოვან ისტორიაში ამერიკელებს ფინალამდე 60-ჯერ გაუღწევიათ, იქ კი 28-ჯერ დამარცხებულან...

ტრავმიანობის თვალსაზრისით ყველაზე დაჩაგრული მაინც ბრიტანელები გამოდგნენ. მათ ერთბაშად ორივე ლიდერი — ტიმ ჰენმანიც და გრეგ რუზედსკიც მოისაკლისეს. მათ ნაცვლად ავსტრალიაში ხვარაკად ჩავიდნენ სრულიად უსახელონი — ალენ მაკინი, ალექს ბოგდანოვიჩი, ერვინდ პალმერი და მაილს მაკლაგენი.

კაცთა ამქრის უსტაბაშ ლეიტონ ჰიუიტს, მოკეთებულ ყუმბარმტყორცნ მარკ ფილიპუსისსა და დიდმეწყვილე ტოდ ვუდბრიჯს ისინი ალბათ საუზმედაც არ ეყოფიან.

და კიდევ — შარშანდელი ფინალისტი ფრანგები მოძმე რუმინეთს სტუმრობენ. გალთა კაპიტანი გი ფორჟე მეტოქეთა შანსებს თანაბრად აფასებს, რუმინელთა მოძღვარი ფლორინ შეგარშეანუ კი თვლის, რომ ანდრეი პაველთან ერთად რუმინელებს ბოლო ოცი წლის განმავლობაში საუკეთესო ნაკრები დაეკვეხებათ.

პაველს ადრიან ვოინეა და გაბრიელ ტრიფუ უდოსტებენ, ფრანგთაგან კი ჩალიბად, მარტოკაცად ჩოგნაობა სებასტიან გროჟანსა და ნიკოლა ესკუდეს დაევალათ, წყვილად კი ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულები — ფაბრის სანტორო და მიშელ ლოდრა გამოვლენ.

დანარჩენ წყვილებში შვედეთი ბრაზილიას უმასპინძლებს, ჰოლანდია — შვეიცარიას, ესპანეთი ბელგიას მიიღებს, ხოლო არგენტინა გერმანიას დაუხვდება.

**ლევან ძილაურაძე**




REUTERS
ხალხნაკლულ ამერიკელებს გორან ივანიშევიჩის ამქარი ემუქრება



# კაც-მანქანიანი
## კასპაროვი და კომპიუტერი ერთხელაც შეიბმებიან

**გარი კასპაროვსა** და „DEEP JUNIOR"-ს შორის შეხვედრის მეხუთე პარტია, წინათაგან განსხვავებით, ყველაზე ხანმოკლე გამოდგა და 19 სვლაში ყაიმით დასრულდა.

თამაში კასპაროვმა ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო, რასაც კომპიუტერმა ნიმცოვიჩის დაცვა დაუპირისპირა. ორივე მხარემ ყურადღება თავიდანვე შეტევაზე გადაიტანა და ფიგურები მოწინააღმდეგეთა მეფის ფლანგებისკენ მიმართა.

იერიში კომპიუტერმა მე-10 სვლაზე დაიწყო. ოფიცრით მეტოქე მეფესთან h2-ზე მდგარი პაიკი აიყვანა და ხელმწიფეს ქიშით დაემუქრა. კასპაროვმა დაუპატიჟებელი ოფიცერი მეფითვე აიყვანა და ხარისხით დაწინაურდა. კომპიუტერმა შეტევაში ახლა მხედარი ჩართო, რომელსაც მალე ლაზიერი შეაშველა და თეთრების მეფე თითქმის ალყაში მოაქცია.

მანქანის ასეთი მოძალების შემდეგ კასპაროვი დიდი ხნით ჩაფიქრდა, შესაძლო სვლები საფუძვლიანად გააანალიზა და კომპიუტერს კონტრდარტყმით უპასუხა — ოფიცრით მეფეს დაემუქრა.

ამ სვლების შემდეგ კომპიუტერმა თამაშის გაგრძელება სახიფათოდ ჩათვალა და მეტოქეს ყაიმით დაშორდა.

ხუთი ტურის შემდეგ ანგარიში საყაიმოა — 2,5-2,5.

გადამწყვეტი, მეექვსე პარტია დღეს გაიმართება, სადაც მცირე უპირატესობა კომპიუტერს ექნება, რაკი თეთრი ფიგურებით ითამაშებს.

**ლუკა გეგეჭკორი**


კასპაროვს მანქანის დასამარცხებლად ერთი შანსიღა დარჩა

# კაცები მინდა!



**იუდით პოლგარს** ქალები აღარ აინტერესებს. ლამის ყველაფრის მომგები მოჭადრაკე ქალი ამბობს, რომ კიდევ მრავალი ტიტულის მოგება ძალუძს და იქვე გამოტყდა, ქალთა ჭადრაკისადმი ინტერესი გამინელდაო.

იუდით პოლგარი: „უახლოეს ორ წელიწადში ჩემი მომგები ქალი არ მეგულება, სამიოთხი წლის შემდეგ შეიძლება რომელიმე ამჟამად პერსპექტიულმა გოგონამ დამამარცხოს. მანამდე კი რა ვაკეთო? ყველანაირი მოტივაცია დავკარგე."

პოლგარს, რომელიც ყველაზე მაღალრეიტინგიანი მოჭადრაკე ქალია მსოფლიოში, თვალი კაცებისკენ უჭირავს. უნგრელთა სიამაყე ითხოვს, რომ კაცთა ნაკრებში აიყვანონ: „ჩემი ოცნებაა, კაცთა ნაკრებში მოვხვდე და ოლიმპიური ოქრო მოვიგო. მგონი, ამაში უჩვეულო არაფერია."

და კიდევ. იუდითს კაცების მხარდამხარ მხოლოდ თამაში როდი ხიბლავს. მას ერთი სული აქვს, როდის დაამარცხებს საუკეთესო კაც მოჭადრაკეებს.

**ბაჩო სვანიძე**

ძიუდო

# ძიუდოისტების გამოცდები ფრანგულსა და გერმანულში

**დღეს გამთენიისას** პარიზს გაფრინდა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები. მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა თბილისის საერთაშორისო ტურნირის დამთავრებისთანავე განაცხადა, რომ საფრანგეთის დედაქალაქში მხოლოდ ნაკრების პირველ ნომრებს წაიყვანდა. გუშინ საღამოს მან მწვრთნელ ბიძინა მოხევიშვილთან ერთად პარიზში მოასპარეზეთა საბოლოო შემადგენლობა დაასახელა — ნესტორ ხერგიანი (60 კგ), გიორგი რევაზიშვილი (66 კგ), დავით ქევხიშვილი (73 კგ), გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ), ზურაბ ზვიადაური (90 კგ), გიორგი გუგავა (100 კგ), ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე). პარიზში წამსვლელთა შვიდეულს ხაბარელის გათვლით კიდევ ორი ძიუდოისტი უნდა დამატებოდა, ამათგან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო 66 კგ წონით კატეგორიაში თბილისის ტურნირის გამარჯვებული დავით მარგოშვილი, მაგრამ ის ავადაა და საფრანგეთში ვერ გაემგზავრება. მეორეა მინდია ბოდაველი, რომელიც პარიზის ტატამზე ზვიადაურის წონაში მეორე ნომრად იჭიდავებს. მან იანვარში მოსკოვის ტურნირზეც იბრძოლა და არც თბილისში შეურცხვენია თავი. ნაკრების მთავარი მწვრთნელი სიძლიერით და პოპულარობით გამორჩეული საფრანგეთში საერთაშორისო ტურნირზე მას თავის გამოჩენის შანსს აძლევს. ტურნირი პარიზში შაბათს დაიწყება და კვირას დამთავრდება. ქართველთა ნაკრები კი სენისპირა ქალაქში კიდევ 4 დღეს დარჩება და სპარინგშეხვედრებს გამართავს. გუნდი თბილისში პარასკევს დაბრუნდება.

გერმანიაში კი ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი 22-23 თებერვალს ჩატარდება. ტურნირს ამჯერად მიუნხენის ნაცვლად ჰამბურგი უმასპინძლებს. ამ შეჯიბრზე წამსვლელთა ვინაობაც უკვე ცნობილია: ნესტორ ხერგიანი, ლაშა სარდანაშვილი (60 კგ); დავით მარგოშვილი, მინდია ხომიზური (66 კგ); დავით ქევხიშვილი, მინდია ბოდაველი (73); გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ); ზურაბ ზვიადაური (90 კგ); ივერი ჯიქურაული, გიორგი გუგავა (100 კგ); ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე). ეს სავარაუდო შემადგენლობა შეიძლება პარიზში რომელიმე თავგამოჩენილი ჩვენებურით ჩაინაცვლოს.

წლეულს გუნდი ავსტრიაში არ გაემგზავრება. ლინცის საერთაშორისო ტურნიზე წლეულს მხოლოდ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები გამოვლენ ტატამზე. სალიცენზიო ქულების შესავსებად ხაბარელის შეგირდები შეიძლება მარტის ბოლოს პოლონეთშიც ჩავიდნენ. დანარჩენი დრო ევროპის ჩემპიონატამდე, მაისის შუა რიცხვებში გერმანიაში რომ უნდა გაიმართოს, საწვრთნელ შეკრებებს დაეთმობა.

**ზურაბ ტაბატაძე**

მძლეოსნობა




# ჯონსი უზნეო კაცის ხელშია

**მსოფლიოს** უსწრაფესი ამერიკელი სპრინტერები — მერიონ ჯონსი და ტიმ მონტგომერი დოპინგ-ტესტს გაივლიან. მათი შემოწმება მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) მოითხოვა. ასოციაციის დოპინგ-ტრიბუნალი ეჭვობს, რომ ჯონსი და მონტგომერი აკრძალულ პრეპარატებს ღებულობენ. მათ ეჭვს აძლიერებს სპინტერების სკანდალურად ცნობილ მწვრთნელ ჩარლი ფრენსისთან თანამშრომლობა.

ჩარლი ფრენსისი ინგლისელია და თავის დროზე მსოფლიოს კანადელ რეკორდსმენ ბენ ჯონსონს ავარჯიშებდა. სეულის ოლიმპიადის შემდეგ ფრენსისის შეგირდი ჯონსონი აკრძალულ ანაბოლიკის „სტანაზოლოლის" სმაში ამხილეს, მწვრთნელმა კი აღიარა, რომ ეს ამბავი ოლიმპიადამდე იცოდა. 1988 წელს IAAF-მა ფრენსისს კანადელ სპორტსმენებთან მუშაობა აუკრძალა და ნება დართო, სხვა ქვეყანაში გაეგრძელებინა საქმიანობა.

ფრენსისმა უკვე აცნობა IAAF-ს რა მეთოდებით ავარჯიშებს ჯონსს და მონტგომერის, მაგრამ მისი უცოდველობის არ სჯერათ. „ჩვენ არ ვენდობით ფრენსისს. მარტო მისი ახსნა-განმარტება არ კმარა, ვითხოვთ, რომ ჯონსმაც და მონტგომერიმაც ჩამოთვალონ ის პრეპარატები, რომლებსაც ვარჯიშისას იყენებენ. შემდეგ კი დოპინგ-ტესტი ჩააბარონ" — შეუვალია IAAF-ის გენერალური მდივანი იშტვან დიულაი.

სხვათა შორის, ამასვე ითხოვს უპრესტიჟულესი ტურნირის, „ოქროს ლიგის" ხელმძღვანელობა. მათი განცხადებით, სპრინტერებს მაშინ დაუშვებენ შეჯიბრზე, როცა ტესტის პასუხები ეცოდინებათ.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მერიონ ჯონსი: „მე მქონდა კონსულტაციები რამდენიმე სპრინტერთან და მწვრთნელთან. ყველამ მირჩია, რომ ფრენსისთან დამეწყო ვარჯიში. იგი შესანიშნავი სპეციალისტია. სწორედ მას შეუძლია კიდევ უფრო დამახვეწინოს ტექნიკა. რაც შეეხება ფრენსისის წარსულს, ეს ნაკლებად მაღელვებს. პატარა ბავშვი არ ვარ, ვინმემ დოპინგის მიღება დამამალოს. კი ბატონო, ჩავიტარებ ტესტირებას და ყველას დავუმტკიცებ, რომ სუფთა ვარ."

დოპინგ-ტესტს არ გაურბის პირმშვენიერი და ფეხმარდი მერიონის არანაკლებ ყოჩაღი ბოიფრენდი ტიმ მონტგომერიც, რომელმაც შარშან 100 მეტრი 9,78 წამში გაირბინა და მსოფლიოს რეკორდი დაითავისა. ძველი რეკორდი (9,79) ბენ ჯონსონს ეკუთვნოდა. „სიმართლე გითხრათ, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. თუ ვინმეს გონია, რომ ფრენსისთან თანამშრომლობა დოპინგის ყლაპვაში გამოიხატება, ძალიან შემცდარა. აინტერესებთ როგორ მივაღწიე ამხელა წარმატებას? მივიდნენ ვარჯიშზე და ნახონ როგორ ვშრომობ. დოპინგ-ტესტს რომ ჩავაბარებ, მერე ყველა მოკეტავს" — ამბობს მძლეოსნობის ვარსკვლავთბიჭუნა მონტგომერი.

**ბაჩო სვანიძე**

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

# ყველაზე კაცურიც წაიმურდლა?! ბრედ სმიტმა ხელთათმანი არ დააგდო და საჩხუბარი არ იჩხუბა

5 თებერვალი

**ვაშინგტონი 1:4 ნიუ ჯერსი 0:0 1:2 0:2**

1:0 ნიულანდერი (25), 1:1 სტივენსონი (30), 1:2 მედენი (37), 1:3 მედენი (47), 1:4 მედენი (60)

„გუშინ ოთხი გავიტანეთ, დღესაც ამდენივე, მანამდე ხუთი, მეტი რა უნდა გავაკეთოთ, რას გვერჩის ეს ხალხი?!" — ბობოქრობდა მატჩის შემდეგ ნიუ ჯერსის თავკაცი პეტ ბიორნსი და სამართლიანადაც, რადგან პრესა გამუდმებით აკრიტიკებს მის გუნდს, აქაოდა დაცვას მეტისმეტად გადაჰყვაო. მაგრამ განა ამ მატჩმაც არ ცხადჰყო, რომ მარტო გაუვალი დაცვით არ უწიეს „ეშმაკებმა" დივიზიონში პირველ ადგილს. თავისი დივიზიონის ასევე ლიდერ ვაშინგტონის დასაჩოქებლად სტუმრებმა თავიანთი მეორე იარაღი — ელვისებური კონტრშეტევები გამოიყენეს. განსაკუთრებით იხეირა გუნდში ყველაზე სწრაფმა ჯონ მედენმა.

**დალასი 2:2 სენტ ლუისი 0:2 1:0 1:0 0:0**

0:1 დრეიკი (8), 0:2 ტკაჩუკი (18), 1:2 მოდანო (25), 2:2 ბერინი (59)

**კოლუმბუსი 4:4 ვანკუვერი 1:1 2:3 1:0 0:0**

0:1 კლეტი (10), 1:1 ვიბორნი (18), 1:2 ბერტუცი (23), 1:3 სალო (27), 1:4 ლინდენი (31), 2:4 რაიტი (39), 3:4 სილინჯერი (40), 4:4 ვან იმპი (58)

**ფლორიდა 0:6 ტორონტო 0:1 0:3 0:2**

0:1 რაიხელი (20), 0:2 სენტინი (21), 0:3 ბელაკი (22), 0:4 კაბერლე (24), 0:5 კორსონი (51), 0:6 ლუმე (57)

**რეინჯერსი 3:5 ოტავა 2:1 1:2 0:2**

0:1 რედენი (8), 1:1 პოლიკი (10), 2:1 ნედვედი (18), 2:2 ბონქი (23), 2:3 უაიტი (26), 3:3 ლინდროსი (39), 3:4 უაიტი (49), 3:5 ალფრედსონი (60)

რეინჯერსს ველარაფერი შველის, ვერც გენერალურ მენეჯერ გლენ სატერის თავკაცობა და ვერც მოთამაშე დეილ პურინტონის ეშმაკობა. მეორე პერიოდის ბოლოს ოტაველმა ბრედ სმიტმა ხელთათმანი ყინულზე დააგდო და მასპინძელთა მცველი ჩხუბში გაიწვია. პურინტონი განზრახ არ აჰყვა მას, რადგან იცოდა, ასეთ შემთხვევაში სმიტი 2-წუთიან ჯარიმას მიიღებდა. ასეც მოხდა და რეინჯერსმა ერიკ ლინდროსის ძალისხმევით რიცხვმრავლობა ჩინებულად გამოიყენა. მაინც არაფერი გამოვიდა მასპინძლებს ამ ფანდმაც ვერ უშველა.



მინესოტელმა ჯეისონ მარშალმა ჩიკაგოელი ალექსანდრ კარპოვცევი წესიერად აიყირავა

**მინესოტა 2:1 ჩიკაგო 0:0 2:1 0:0**

1:0 კუბა (24), 2:0 ულეი (27), 2:1 კოლდერი (34)

**სან ხოსე 6:2 კაროლინა 3:1 1:0 2:1**

1:0 ჩიჩუ (3), 1:1 ადამსი (5), 2:1 სტიუარტი (10), 3:1 ტორნტონი (16), 4:1 დამფუსი (39), 5:1 რატიე (44), 5:2 ვასიჩეკი (48), 6:2 მარჩმენტი (49)

**ლოს ანჯელესი 4:3 ფინიქსი 2:1 1:1 1:1**

1:0 ბაინცი (5), 1:1 აბიდი (13), 2:1 ფროლოვი (14), 3:1 შნაიდერი (33), 3:2 ბრირი (39), 4:2 რასმუსენი (57), 4:3 ლენგკოუ (60)

**ედმონტონი 2:1 ანაჰაიმი 0:0 0:1 2:0**

0:1 სიკორა (30), 1:1 პიზანი (49), 2:1 ჰემსკი (51)

ფერნანდო პიზანის მშობლებმა ცუდ დროს მოინდომეს შვებულების მექსიკაში გატარება. მათ ამ სეზონში ედმონტონის საშინაო თამაში პირველად გამოტოვეს და სანანებელი გაუხდათ — მათმა ვაჟიშვილმა კარიერაში პირველი შაიბა შეაგდო.

„თვალები გამიფართოვდა, როცა შაიბა კარის ბადეში დავინახე. იმედია, მამამ სატელიტური ანტენის საშუალებით მოახერხა თამაშის ნახვა" — თქვა მატჩის შემდეგ ედმონტონის ახალბედამ. საინტერესოა, რომ გამარჯვების გოლიც ახალბედამ, ალეშ ჰემსკიმ გაიტანა.

მთის თხილამურობა

მსოფლიოს ჩემპიონატი სენტ მორიცი (შვეიცარია)

# არატრადიციული კომბინაცია უავსტრიელო პოდიუმი ამერიკელით და ნორვეგიელებით

**შვეიცარიის** ალპებში სენტ მორიცში გაჩაღებულ მსოფლიოს სამთოსათხილამურო ჩემპიონატზე მედლების კიდევ ერთი კომპლექტი დარიგდა, რალა თქმა უნდა, დამსახურებისდა მიხედვით. წინა დღეებისგან განსხვავებით, 6 ნოემბერს ალპებში ხალისიანი დარი იდგა და ქარბუქს არ შეუფერხებია მსოფლიოს უჩაუქესი მოთხილამურეები. ესენიც დაუბრკოლებლად შეუდგნენ სრიალს და ყველამ უხიფათოდ ჩაალწია A-დან B წერტილში.

სხვა საქმეა, თუ ვის როგორ გაუღიმა ბედმა. ამ დღეს გამართულ კომბინაციურ (სწრაფდაშვება და სლალომი) შეჯიბრში ყველა სხვაზე მცირე დრო უჩვენა ახლადწამოჩიტულმა ამერიკელმა ბოდე მილერმა. სხვათა შორის, ბოდე არც სწრაფდაშვებაში იყო საუკეთესო და არც სლალომში, მაგრამ ვინაიდან ამ ორი დაშვების დროთა ჯამი ყველა დანარჩენის ჯამურ შედეგზე ნაკლები გამოდგა, ოქროც მას დარჩა.

ამერიკელისთვის ეს ოქრო პირველია რაგინდარა დიდ შეჯიბრებებში (ოლიმპიადა, მსოფლიოს ჩემპიონატი, მსოფლიოს თასი), თუმცაღა მილერს სხვა სინჯის მედალი ადრეც დაუკიდია კისერზე. თუნდაც ამ ჩემპიონატზე სუპერგიგანტური დაშვებისას მოპოვებული ვერცხლი ვახსენოთ, რომლითაც მილერი ოქროზე არანაკლებ ამაყობს, რაკი იქ მას მედლებს გაცილებით ყოჩაღი მეთხილამურეები, თუნდაც ჰერმან მაიერი და შტეფან ებერჰარტერი ედავებოდნენ, ამ ორი ავსტრიელი ბუმბერაზიდან არც ერთს უსრიალია კომბინაციაში და საერთოდ, ავსტრიელებმა ერთგვარად ზურგი შეაქციეს ამ სახეობას. ამ თხილამურებზე შეშლილი ერის შვილთაგან კომბინაციაში საუკეთესომ რაინერ შონფელდერმა მხოლოდ მე-10 ადგილი დაიჭირა. სამაგიეროდ, თავი გამოიჩინეს ნორვეგიელებმა, რომლებიც როგორც ერი, საზოგადოდ ვაკის და არა მთის თხილამურობაში განთქმულან. ორმა ნორვეგიელმა ვეტერანმა ლასე კიუსმა და კეტილ ანდრე ამოდტმა მილერის გვერდით პოდიუმზე შესაბამისად მეორე და მესამე საფეხურები შეავსეს.

**კოტე ყორშია**



ბოდე მილერმა უკვე ორი მედალი მოიპოვა

# ზარის შემოკვრაზე

ძველი ტრადიციაა, ნიუ იორკის ფინანსური ბირჟის გახსნის, ანუ ზარის შემოკვრის წამზე ცნობილებს მიიწვევენ ხოლმე, ამჯერად იქ სუპერბოულის მომგები „ტამპაბეი ბაკანიერზის“ მწვრთნელი ჯონ გრუდენი და მისი ცოლი სინდი მიუწვევიათ. წყვილს აქეთ-იქეთ უდგანან ბირჟის პრეზიდენტი რიჩარდ გრასო (მარცხნივ) და ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ზიტო.



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS ბერლინიდან

# ოქროს კამერა

ბერლინში იქაური განთქმული კინოფესტივალი გაიხსნა. ამ კინოფესტივალის ტალღაზე კი მრავალი პატარა ღონისძიება მიმდინარეობს. ასეთია „ოქროს კამერაც“, რომელიც საუკეთესო სარეკლამო კლიპის ავტორებს გადაეცემათ ხოლმე. „ოქროს კამერა“ ბერლინის შაუშპილჰაუსში იმართება ხოლმე და ცნობილ ადამიანებს იქ ვერ დათვლი. აი, ბორის ბეკერი და მიკა და ერია ჰაკინენებიც იქ ყოფილან.

# ახალი

ედი ჯორდანი სიხარულით წარმოგვიდგენს თავისი საფორმულე გუნდის, „ჯორდანის“ ახალ შენაძენს რალფ ფირმანს (მარცხნივ), რომელსაც დებიუტი ავსტრალიის დიდ პრიზზე ექნება. ფირმანი ავტოსამყაროს გარეთ უცნობი ბიჭია. 27 წლისას მოუგია ბრიტანეთის ფორმულა 3-ის ჩემპიონობა, იაპონური ფორმულა და კარტის ჩემპიონიცაა.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS სევილიიდან

# გოგო ემზადება

ქალების ტორეროობა რომ მოხშირდა, ახალი ამბავი არ არის. ეს ანდალუზიელი გოგოც ტორეროა და სევილიაში დაწყებულ ხუთდღიან კორიდაში მონაწილეობს. სერიოზული ვინმე ჩანს, დიახ.

# ჯადოსნური ავტობუსი

სპორტულმა პროგრამამ „ჯადოსნური ავტობუსი“ ბომბეიშიც ჩააღწია და იქაურ ღატაკ ბავშვთა დახმარება და გონების გახსნაც ითავა. ბომბეელი ქუჩის გოგო-ბიჭების სტუმარი ოლიმპიური ჩემპიონი და ცხრაგზის მსოფლიო რეკორდსმენი ედვინ მოზესი იყო და თუ მისმა ლაპარაკმა ერთი ბავშვი მაინც დააფიქრა, საქმე კარგად ყოფილა. „ჯადოსნური ავტობუსი“ სპორტული სულით ლამობს ნორჩთა ცხოვრების შეცვლას.



REUTERS ბომბეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge